ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 24. 2 ნოემბერი 1908 წ. ფასი 10 კაპ.

შინაარსი: მეთაური.—გზა და გზა.—ინტერნაციონალის კრება, მინერისა.—სახელმწიფო დუმა.—სხვა და სხვა ამბები ჩვენში.—ქუთაისში.—მნათობთა ჩივილი, ლევ. მეტრეველისა.—$_*{}^*{}_*$ლექსი, ლ. ესმაშვილისა.—მეფე შიმშილი—თარგ. განდეგილისა.—სათარხანი არტემიუსისა.—წერილილი მესკოვიდან—ივ. ი—ძე-სი.—თეატრი დამუსიკა: სახაზინო თეატრი, ლევ. მეტრეველისა, ქუთაისის თეატრი სერ—ქორქისა.

ამხანაგები და ნაცნობები აუწყებენ საზოგადოებას
და ნაცნობ-მეგობრებს

ნიკო (მიტრო) მგელაძის

უდროოთ გარდაცვალებას, დაასაფლავებენ კვირას,
2. ნოემბერს ს. ჭანჭათში (გურია).

Doux pays *)

—:—

პოლონეთის ხალხი—როგორც იცით—დიდი ხნიდანვე თავგამოდებით ესწრაფის, რომ სწავლა-განათლება უმდაბლეს საფეხურიდან უმაღლესამდე, სწარმოებდეს სამშობლო, პოლონურ ენაზე. მთავრობაა მისთვის, ხანდასმით, მცირეოდენ დათმობას იმეტებს ხოლმე, მაგრამ უძალვე ამ მცირედსაც უკანვე ართმევს, რადგან ბეჯითათ ესწრაფის, რომ მთელს იმპერიაში, და მაშასადამე პოლონეთშიაც, მთელი სწავლა-განათლების საქმე უექველათ სწარმოებდეს სახელმწიფო, რუსულ ენაზე. პოლონელები რუსულ სკოლას ბოიკოტს უცხადებენ. ასე მაგ., ვარშავის უნივერსიტეტში, რომელიც პოლონელებისათვის არის გახსნილი, პოლონელ სტუდენტების რიცხვი 50 პროცენტსაც ვერ აღწევს. დიდი ნაწილი მათი ახალგაზდობისა ან კერძო, პოლონურ სკოლებში სწავლობს და ან საზღვარ-გარეთის სასწავლებლებში. რუსულ სკოლას კი პირდაპირ მტრულის თვალით უცქერიან.

ამ რამდენიმე კვირის წინათ ვარშავაში რამდენჯერმე თავს დაესხენ იმ რუსულ უმაღლეს სკოლის სტუდენტებს, რომელსაც პოლონელ საზოგადოებისაგან ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. ამ ამბის გაგებაზე ვარშავის გენერალ-გუბერნატორი გენ. სკალონი, დაემუქრა მთელ პოლონეთის ხალხს: „რუსული სკოლის ბოიკოტი პოლონურ სკოლის სასარგებლო კი არა, დამღუპველი იქნებაო“. ეს გამოაცხადა გასული ოქტომბრის 14 რიცხვს, და მეორე დღეს გენ.-გუბერნატორისავე განკარგულებით ვარშავაში დაიხურა კერძო, პოლონური სკოლები. ამან მთელ პოლონეთში გამოიწვია დრტვინვა-აღშფოთების ქარიშხალი. ერთი კვირის შემდეგ გენერალ სკალონის განკარგულება გაუქმებულ იქმნა და დახურული სკოლები ისევ გაიხსნა.

*) „ბედნიერი“ ქვეყანა.

მთავრობის მოქმედების ასეთ რყევას რუსეთის სატახტო გაზეთები იმითი ხსნიდენ, რომ ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობათა შუა თანხმობა არა სუფევსო. მაგრამ ჩვენ აქ ეს საკითხი არ გვაინტერესებს.

ზემო აღნიშნული მოვლენანი ჩვენს ქვეყანაშიც არა იშვიათად ჰხდება, თუმცა უფრო პატარა მასშტაბით, ვინემ პოლონეთში. აი მაგ., ამ დღეებში თბილისის ერთ-ერთ რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ქალაქის გამგეობის „ყურადღება მიაქცია“ იმაზე, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში სახელმწიფო ენას სათანადოთ ვერ ასწავლიანო; ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ გამგეობამ სკოლის უფროსთ წინადადება მისცა, სავსებით შესრულებულ იქმნას ბ-ნ ინსპექტორის მოთხოვნა და ყველა საგნები ამიერიდან ისწავლებოდეს მხოლოთ რუსულ ენაზეო.

ამ ახლო ხანში ჩვენ მოწმე გავხდით უფრო მნიშვნელოვან მოვლენის. უკვე მესამე კვირაა თბილისში არც ერთი ლექცია აღარ წაკითხულა არც ერთ ადგილობრივ ენაზე, თუმცა ლექციის წაკითხვის მსურველნი ბევრნი იყვენ. გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე ლექციის წაკითხვა ამიერიდან აკრძალულიაო. ადგილობრივ ენებზე ლექციების აკრძალვა, რა თქმა უნდა, ჰნიშნავს სახალხო უნივერსიტეტის დახურვას ადგილობრივ მუშა ხალხისათვის, რადგან ამ უკანასკნელს მხოლოთ სამშობლო ენაზე შეუძლიან ლექციების მოსმენა.

როგორ შეხვდენ ამ ამბავს ხალხი, საზოგადოება და პრესა?

ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ ხმა—კრინტი არ დასძრა და თვით მეპრესეთა გარდა, არავინ იცის, თუ რა იფარება პრესის დუმილში. საზოგადოებასა და ხალხს ყურიც არ გაუბარტყუნებია, ბევრმა დღემდე არც კი იცის თუ ვინმემ რამე აკრძალა როდისმე.

თავისთავათ ცხადია, რომ ჩვენი ასეთი დაუდევრობა, გულგრილობა და აპატია აიხსნება იმით, რომ ჩვენში ნაციონალური თვითშეგნება ჯერაც უმდაბლეს საფეხურზე იმყოფება. მაშასადამე, ჩვენ კულტურულათ ძალიან უკან ჩამორჩენილი ვართ, ჩვენში ბურჟუაზიაც და პროლეტარიატიც ჯერ კიდევ საკმაოთ განუვითარებელია. ჩვენში ბურჟუაზია, მემამულენი და მათი მეგულისპასუხე ინტელიგენცია მხოლოთ იმ „სიფხიზლეს“ იჩენენ, რომ წამ-და-უწუმ გაიძახიან: კულტურულ საქმეში ხელი არა აქვს პოლიტიკასა და პარტიობას, და იმავე დროს ულირს კამპანიას ეწევიენ სკოლიდან სოც.-დემოკრატ მასწავლებელთა გასაძევებლათ. და როცა ჰკრძალავენ სამშობლო ენაზე სწავლას, ე. ი. სკოლის კარებს უხურავენ მთელ მუშა-ხალხს, ხსენებული ვაჟბატონები ბრძნულათ დუმილსა რჩებენ; მათ „კლასთა ბრძოლის პრინციპი“ ძალიან მარტივათ აქვთ წარმოდგენილი. მათი აზრით, რამდენათაც მუშათა მასსა უკულტურო და უმეცარია, იმდენათ იგი უფრო ადვილათ საკრეკ-საყვლეფი ცხვარია; მათ ფიქრათ აღარ მოსდით, თუ თანამედროვე ვაპრობა-მრეწველობა იმდენათ მგრძნობიარე მექანიზმისაა, რომ იგი ველარ ეგუება უდისციპლინო, უთავბოლო სტიქიურ ძალას. და აბა თავს როგორ ღა გაიცხელებენ სახ. უნივერსიტეტის დახურვის გამო.

თითონ მუშა ხალხიც ვერ იჩენს ვერავითარ უნარს თავის საარსებო ინტერესების დაცვაში, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მის ეროვნულ ვინაობას. ჩვენ მუშათა პარტიას, ანუ მის საგრძნობელ ნაწილს, ელემენტარულ ნაციონალურ უფლებების, ნაციონალურ თვითარსებობის დაცვის საქმეში ეფიქრება არავინ დასწამოს ნაციონალისტურ-შოვინისტური სულის-კვეთება, თუმცა ნამდვილათ ხსენებული ნაციონალური თვითარსებობა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ქვა-კუთხედია.

მაგრამ უნუგეშობა მაინც არ გვმართებს. მუშათა პარტია დღეს განიცდის გარდამავალ ხანას, ზრდის კრიზისს, ამას იგი თავს დააღწევს ახლო მომავალში და მით ეროვნულ საკითხშიც იპოვის ღირსეულ და სათანადო პოზიციას. მაშინ იგი სათავეში მოექცევა იმ ხალხს, რომელიც გულ გამეხებული და ძლევა-მოსილი აღიმართება ყოველთვის, როცა კი მახვილს მოუღერებენ მის საარსებო ძარღვს. მუშათა პარტია დარწმუნდება, რომ ნაციონალურ სკოლისა და სახალხო უნივერსიტეტის კარის გაღება-დაკეტვა თვით კონსტიტუციის დროსაც კი—მეტი არა ვთქვათ—კეკემალულობას ემსგავსება, თუ კი ხალხს არ ეპოვება სათანადო გარანტიები და მაშინ მას (მუშათა პარტიას) საერთო, ძალუმ მოთხოვნათ გადაექცევა **ავტონომია**!..

გზა და გზა

VIII

კიდევ ცენტრალიზაცია და კიდევ დეცენტრალიზაცია, ავტონომია.

თამამათ შეიძლებოდა რ. ა—სთვინ სულ არ გაგვეცა პასუხი მის უკანასკნელ სამ ფელეტონზე (იხ. „იმედი“ №№ 5, 6, 8), რადგან აქ ჩვენი კრიტიკული შენიშვნები (იხ. „ჩვ. კვალი“, № 18) არამც თუ დარღვეული არ არის, პირიქით, უფრო კიდევ გამაგრებულ-განმტკიცებულია. მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ ამ ფელეტონების რამდენიმე ადგილი, როგორც მეტათ დამახასიათებელი ამხ. „ცენტრალისტების“ შეხედულებათა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ რ. ა—ს უსაფუძვლო განაწყენება იმის გამო, ვითომ ჩვენ დაგვემახინჯებინოს იმისი აზრი, ადმინისტრატიულ დეცენტრალიზაციისა და პოლიტიკურ ცენტრალიზაციის შესახებ. ნამდვილათ, რ. ა—ს წერილიდან შესაფერი ადგილი ჩვენ სრულიად უცვლელათ და სიტყვა-სიტყვით გვაქვს მოყვანილი. (იხ. „ჩვ. კვ.“ № 18, გვ. 280). ამ ციტატის შემდეგ, იმ წერილში, სხვათა შორის, ვწერდით: „მტკნარი შეცდომაა, ვითომ პოლიტიკური ცენტრალიზაცია იგულისხმებდეს ადმინისტრატიულ დეცენტ-

რალიზაციას“. ამაზე რ ა. მწვავეთ გვისაყვედურებს— „თქვენ ჩემი აზრი უკუღმა შეგიბრუნებიათო“ და ჰეშმარიტებას ასე აღადგენს: „ჩვენ ვამბობდით: ადგილობრივი ფართე თვითმართველობა (თუ დეცენტრალიზაცია თვითმართველობის საშუალებით!) გულისხმობს პოლიტიკურ ცენტრალიზაციას, ე. ი., პოლიტიკურ ფლებებს ცენტრალურ პარლამენტის ხელში სტოვებს მეთქი“.

ასე, რომ სადაც არის ფართე ადგ. თვითმართველობა, იქ უეჭველათ არისო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. რ. ა—ს უნდა მივუსამძიმროთ, რომ იგი ამაოთ ცდილობს წახდენილ „საქციელის“ გამოკეთებას. აღნიშნულ წინადადებას იგი წაღმა შეაბრუნებს თუ უკუღმა, მაინც წინ ექნება „მტკნარი, ბავშური შეცდომა“.

ფართო ადგილობრივი თვითმართველობა ადვილათ შეიძლება „იგულისხმებდეს“ არა მარტო პოლიტიკურ ცენტრალიზაციას, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ დეცენტრალიზაციასაც; იგი (ფ. ად. თვ.) შეიძლება არსებობდეს როგორც ერთის, ისე მეორის დროს. ადმინისტრატიული (ე. ი. ადგილობრივ თვითმართველობითი) დეცენტრალიზაცია თუ ცენტრალიზაცია ერთის მხრით, და პოლიტიკური ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია, მეორეს მხრით, სრულებითაც არ იგულისხმებენ ერთი მეორეს, აქ არავითარი ორგანიული კავშირი არ არსებობს.

რ. ა—ს ერთი ძირითადი შეცდომა ის არის, რომ იგი მიდრეკილია იურიდიული ნორმა გააპრინციპოს, და ეს კი მეტათ სახიფათო მიდრეკილებაა. ამან შეიძლება ადამიანი, თვით ძველი რეჟიმის მოსისხლე მტერი იქამდე გაატინკიცოს, რომ მას ამავე ძველი რეჟიმის საორგანიზაციო პრინციპის წინაშე მეტანია მოაყრევინოს. ამ უსიამოვნო გარემოებაზე მივუთითებდით ჩვენ წარსულ წერილშიც; ამას ძალიან გაუბრაზებია რ. ა., მაგრამ ამით ჩვენი აზრი ნაკლებათ სამართლიანი როდი ხდება მართლაც, რაკი რ. ა. ყოველანება ცენტრალისტურ პრინციპს, იგი იძულებულია მთელ რუსეთის იმპერიისათვის ერთათ-ერთი პარლამენტის არსებობა აღიაროს მიუცილებელ საჭიროებათ. და თუნდ ეს ცენტრალური პარლამენტი დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანო იყოს, ძველსა და ახალ რეჟიმს შუა მაინც თვალსაჩინო მზგავსება რჩება. მართალია ერთგან, ცენტრში დგას „ბიუროკრატია“ და მეორეგან პარლამენტი, მაგრამ ორივეგან პოლიტიკური ცენტრალიზაციაა ერთი და იმავე გვარის შედეგებით: ორივეგან პატარა ერები დაჩაგრულნი არიან, ორივეგან უარყოფილია, არა რუს ხალხთა ნაციონალური თვითარსებობა. დიახ, რ.ა—ების „დემოკრატიული ცენტრალიზმი“ იგულისხმებს ფინლანდიის სეიმის გაუქმებას და აგრეთვე პოლონეთისა, კავკასიის და სხვა განაპირა ქვეყნებისათვის ავტონომიების სრულ უარყოფას. ეს დღესავით ნათელია, მაგრამ რ. ა—ს მაინც შესწევს მწუხარე გამბედაობა, უკმეხი სიტყვებით მოგვდგეს: „საიდან გამოატყვრინა „ჩვენ კვალმა“ ასეთი აზრები? ვის გულში ამოიკითხა ეს ამ უებრო გულთამხილავმა“, რათ მოჰყოლია იგი „სხვის გულსა და სულში ხელის ფათურს?“ და სხ. მერე წარბშეუხრელათ აცხადებს: „ჩვენ სრულიადაც არა ვართ წინააღმდეგი არც პოლონეთისა და არც ფინლანდიის ავტონომიისა“.

ჩვენ, რასაკვირველია, არა გვქონებია არავითარი განზრახვა „სხვის სულსა და გულში ხელის ფათურის“, ჩვენ ვსჯით იმის მიხედვით, თუ რასა სწერენ პრესაში, და აი, რასა სწერს რ. ა. ერთ თავის უკანასკნელ ფელეტონში. იგი აღიარებს, რომ ფინლანდიის ავტონომიას ითმენს მხოლოთ დღეს-დღეობით, რადგან ეს ავტონომია იქაურ მუშათა კლასს იფარავს „რუსეთის ბიუროკრატიის ბრჭყალებიდანო“, გარნა „ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ—განაგრძობს რ. ა.—რომ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებასთან და რუსეთის სრულ დემოკრატიზაციასთან ერთათ, ეს უპირატესობაც გაუქმდება და მაშინ **თვით ფინლიანდიის ავტონომია მუშათა კლასის** მფარველობის მაგიერ მის **ბორკილებათ იქცევა.** იგი **მხოლოდ შემაფერხებელი გახდება** სრულიად რუსეთის **მუშათა** ერთ მძლავრ არმიათ დარაზმვის, ე. ი. ცენტრალისტურ ორგანიზაციაში **შეკავშირების და ფინლანდიის მუშათა კლასი არ დაიშურებს მის (ავტონომიის) დამსხვრევას თავის ფრთის გასაშლელათ**“ („იმედი № 6), (კურსივი ჩვენია).

უკეთესი შეხედულებანი რ. ა-ს არც მოეთხოვება. მას ერთხელვე ბედის წერასავით აჰკვიატებია ის ყოვლათ შემცდარი აზრი, ვითომ სოც. დემოკრატს ყველგან და მუდამ გულზე ავგაროზივით უნდა ეკიდოს ცენტრალიზმის პრინციპით-მართალია არა ბიუროკრატიულის, არამედ „დემოკრატიულ ცენტრალიზმის“ პრინციპი—ამასთანავე, მან კარგათ იცის, რომ ამ „დემოკრატიულ ცენტრალიზმს „ეწინააღმდეგება და აუარჰყოფს ავტონომიები“, და აბა რაღა საკვირველია, თუ რ. ა. ვერ შეუერიგდება ავტონომიას; იგი ამ უკანასკნელს ითმენს მხოლოთ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც წუთიერათ (ვიდრე მოიშორებდეს ბიუროკრატიის ბრჭყალებს). ცენტრალიზმს კი რ. ა. წუთიერათაც ვერ შეხედავს ურიგოთ, რადგან ის „ღრმათ დარწმუნებულია“, რომ „ცენტრალიზმი არაა ბურჟუაზიის სურვილზე, არამედ თვით თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე, მის ეკონომიურ ძალთა დაუსრულებელ კონცენტრაციაზეა დამოკიდებული“ და ამიტომაც, ცენტრალიზმის წინააღმდეგ წასვლა მისი აზრით „ნიშნავს ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებას“; ცხადია, ს. დემოკრატია ამას ვერ ურჩევს მუშებს“. („იმედი“ № 5)... გამოდის, რომ პოლონეთის და ფინლიანდიის და სხ. სოციალდემოკრატია ცხოვრების წინააღმდეგ ყოფილან ამხედრებული; გამოდის, რომ ცხოვრებას წინ გადაღობებია აგრეთვე შვეცია-ნორვეგიის სოციალდემოკრატია, რომელმაც ამ ოთხიოდ წლის წინათ ენერგიულათ მხარი დაუჭირა თავ-თავიანთ სამშობლოთა სახელმწიფოებრივ განცალ-

კევებას; გამოდის რომ... მაგრამ რა საჭიროა ყველას ჩამოთვლა. თუ რ. ა.-ს. დავუჯერებთ, მთელი საერთაშორისო სოც. დემოკრატია საბრალო ყოფილა, რომ მას მრჩეველ-დამრიგებლათ და მასწავლებლათ არა ჰყოლია ჩვენი რ. ა-ები და გ.-ები. აფსუს! აფსუს!

ერთ წერილში (ჩხენკელთან კამათის დროს), ჩვენ მაგალითებით განვმარტავდით, რომ პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, თანამედროვე ავტონომიები არამც თუ არ ეწინააღმდეგება „ეკონომიურ ძალთა დაუსრულებელ კონცენტრაციას“, არამედ ხელსაც უწყობს, და ყოველ შემთხვევაში, საუცხოოთ ეგუება მას. მაგრამ რ. ა. ჩვენს მტკიცებას სრულიად უყურადღებოთ ტოვებს, და, თითქოს „ჩაზუბრულ“ დავითნს ან გომილეტიკას „რასკაზობსო“, გაჯიუტებული იმეორებს ყველა თავის ძველ არგუმენტებს ავტონომიის წინააღმდეგ.

რ. ა. კვლავ დაჟინებულა:—ავტონომია ანცალკევებს მუშათა კლასს, რადგან მას შემოაქვს კანონთა სხვადასხვაობაო. უკანასკნელი განსაკუთრებით დიდათ მავნებელია „სადამოუნო და საქარხნო კანონმდებლობაშიო“, და იმოწმებს პოლონელ ს. დ. З—скій-ს, რომელიც აღნიშნულ დარგებს უქვემდებარებს „საიმპერიო პარლამენტის კომპეტენციას“. ჩვენი რ. ა. ამაში ჰხედავს იმის საბუთს, რომ „იგინი (ე. ი. პოლონელი სოც. დემოკრატები) მუშათა კლასის თვალთა ხედვის ისარით ზომავენ ავტონომიას“, ხოლო „თქვენ კი—შეტევით მოუბრუნდება რ. ა. „ჩვენი კვალის“ ჯგუფს—ავტონომიით ზომავთ მუშათა კლასის საკითხებს“. („იმედი“ № 8) ეს ერთობ... უადგილო ფრაზაა. ავტონომიით რომელიმე საზოგადოებრივ კლასის ინტერესების თუ საკითხების გაზომვა უაზრობაა; ნამდვილთა ცხოვრებაში უკუღმა ხდება, ე. ი. მეორეთი პირველი იზომება. რაც შეეხება „სადამოუნო და საქარხნო კანონმდებლობის“ ერთიანობას, ამაში სულაც არ არის რაიმე სპეციფიური. მუშური მოთხოვნა, რადგან მას თხოულობს აგრეთვე პოლონეთის მსხვილი ბურჟუაზია, ასე წოდებული „უგოდოვცები“ და ყველა ის „პანები“ „ბატონები, რომელნიც კაიხნიდანვე ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას ფეხქვეშ უგორავენ.

რ. ა. მიმართავს უცხოეთის ს. დ.-ს და ჰხედავს, რომ „მუშათა კლასი სხვა და სხვა სახელმწიფოში, ჰავაში და სხ. მაინც ერთგვარ კანონდებას მოითხოვს, კანონების ერთ და იგივეობისაკენ მიისწრაფვის... ასეთია მუშათა პარტიების პროგრამებიც“, და მაშასადამე ავტონომიის მოთხოვნა ეწინააღმდეგება ამ მუშათა პარტიების პროგრამებსო.

რ. ა-ს აქ ერთმანეთში ერევა ისეთი სრულიათ სხვა და სხვა ცნებები, როგორიც არის კანონი, კანონდება თუ კანონმდებლობა და საკანონმდებლო ორგანო (законъ, законодательство, законодательный органъ) სხვა და სხვა სახელმწიფოში ერთ და იმავე კანონის მოთხოვნა სრულებითაც არ ნიშნავს ამ სახელმწიფოთა საკუთარ, დამოუკიდებელ კანონმდებლობის გაუქმებას და ერთად ერთ ცენტრალურ პარლამენტის დაწესებას. ამის წარმოდგენაც კი გიჟური ფანტაზია იქნებოდა. დღეს მაგ., სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა პარტიები თუ პროფესიონალური კავშირები, და აგრეთვე ზოგი ბურჟუაზიული პარტიებიც ითხოვენ, ყველა სახელმწიფოში შრომის ერთგვარ მფარველობის კანონებს, მაგრამ ჯერ არც ერთ საზღვარგარეთელ სოც.-დემოკრატს და მით უფრო ბურჟუაზიის იდეოლოგს—აზრათ არ მოსვლია მოეთხოვა სხვა და სხვა სახელმწიფოთა ცალკე პარლამენტების გაუქმება; პირიქით, ისინი ამ კანონების გამოცემას ითხოვენ სწორეთ სხვა და სხვა სახელმწიფოს სხვა და სხვა პარლამენტებისაგან. თავისთავათ ცხადია, რომ ამ ერთგვარ კანონების გატარება არა ნაკლებ შესაძლებელი უნდა იყოს სხვა და სხვა ავტონომიების ორგანოთაგან, რადგან ესენი ერთ და იმავე სახელმწიფოს ფარგლებში არსებობენ.

რ. ა.-ს წარმოუდგენია, ვითომ ავტონომიის დაარსება ნიშნავდეს კანონთა მთელ სისტემის გადაბრუნებას. ასე მაგ., უკეთუ საქართველოს თავის პარლამენტი ექნებოდა და აღმოსავლეთ ამიერ კავკასიას თავისი პარლამენტი, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი დაიკანონებდა, ვთქვათ, ერთ ცოლიანობას, საქართველოს პარლამენტი უმალვე გამოსცემდა კანონს, რომელიც ყველა აქ მცხოვრებისთვის დააწესებდა მრავალ ცოლიანობას, და ასე იზამდა მხოლოთ იმიტომ, რომ ქვეყნიერობისათვის ეუწყებინა—მეც საკუთარი პარლამენტი მაქვსო. განა რომ აბსურდია ასეთი მსჯელობა! მაშ ამხ. „ცენტრალისტებმა“ უნდა შეიგნონ, რომ კანონებს არ მოეპოვებათ დამოუკიდებელი არსებობა; კანონი, თუ კი ის გაბატონებულ ნაციისგან არ არის დაჩაგრულ ნაციისთვი' ძალათ თავზე მოხვეული, თუ კი ის არ არის ძალმომრეობა—თვითნებობის მატარებელი, კანონი უეჭველათ უბრალო სარკეა, გამოხატულებაა არსებულ სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ ვითარებისა; იქ, სადაც ერთ გვარია ეს უკანასკნელი, იქ აუცილებლათ ერთგვარია კანონებიც, ამ ერთგვარობას წინ ვერ უდგება ვერც სახელმწიფოს და ვერც ავტონომიის საზღვარი. ხოლო იქ, სადაც სხვა და სხვა გვარია ხსენებული ვითარება, თვით კანონებიც *), აუცილებლივ სხვა გვარი უნდა იყოს, თუ კი, რასაკვირველია, არ მივმართავთ ძალმომრეობას. ამიტომაც, მაგ., უკან ჩამორჩენილ ქვეყნის მუშათა პარტიისაგან იმავ მოთხოვნების წამოყენება (დღესვე განსახორციელებლათ), რასაც ითხოვს დაწინაურებულ ქვეყნის მუშათა პარტია, ვერ გასცილდება უკეთეს შემთხვევაში, სააგიტაციო მნიშვნელობას.

ამ რიგათ, ავტონომია თავის და თავათ არავითარ მიჯნებს და კედლებს არ აჩენს მუშათა კლასში; პირ-

*) ჩვენ სახეში გვაქვს კანონთა მთელი სისტემა, თითო ოროლა მზგავსი კანონი კი შეიძლება გამოერიოს საკმაოთ დაშორებულ ვითარების მქონე ქვეყნებშიაც.

იქით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ავტონომია ანგრევს უკვე არსებულ კედლებს. ამ სტრიქონებზე რ. ა.—ები ფართოთ აჭყეტენ გაოცებულ თვალებს, მაგრამ ყველა მიუდგომელი მკითხველისათვის, რომელსაც თვალზე არ გადაჭკვრია დოგმატიზმისა და ფანატიზმის ლიბრი, აშკარა არის ჩვენ მიერ ნათქვამის სამართლიანობა. მართლაც, ნაციათა სახელმწიფოში, სადაც გამეფებულია პოლიტიკური ცენტრალიზმი და მაშასადამე, გამეფებულია ნაციონალური ბატონ-ყმობა, სხვა და სხვა ერის შეუგნებელ თუ ნახევრათ შეგნებულ მუშათა შორის უეჭველათ ამართულია კედელი, რომლის მასალათ ნახმარია: უნდობლობა, შური, მტრობა, სიძულვილი; ამ კედელს დულაბათ გადასხმული აქვს ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. რაღა თქმა უნდა, რომ ამ კედლის შედარებით სწრაფათ და სავსებით მოსასპობათ, აუცილებლივ საჭიროა თვით ნაციათა ბატონ-ყმობის მოსპობა. და აი, ავტონომიის დანიშნულებაც სწორეთ ის არის, რომ მან იურიდიულათ განახორციელოს ნაციონალური თანასწორობა. მაშასადამე, ავტონომია კი არ ანცალკევებს სხვა და სხვა ერის მუშებს, პირიქით, მაო ერთმანეთში აახლოებს და განუმტკიცებს ძმობა-სოლიდარობას.

*
* *

ავტონომია მუშებში ძმობა-სოლიდარობას კი არა, მტრობასა სოესავსო, ჰირვეულობს რ. ა. **და** კვლავ ჯდება თავის ჯოხის ცხენზე: „ავტონომიურ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მცხოვრები მუშები—და მათ აქეზებენ ადგილობრივი კაპიტალისტებიც—ხშირათ მოით ხოვენ ხოლმე, უცხო ერის მუშები არ შემოუშვათ ჩვენს ქვეყანაში... უცხო მუშები ლუკმა პურს გვართმევენ, ჰკა მაგათო!“ („იმედი“, № 8)

მაგრამ ასეთ მოთხოვნების, ასეთ ნაციონალისტურ-შოვინისტურ ლოზუნგების წამოყენებაში რომ ავტონომია არაფერ შუაშია, ამას კარგათ ააშკარავებს თვითონ რ. ა., როცა ეს მოჰყავს შესაფერი მაგალითები პოლონეთის, ფოთის და ბაქოს მუშათა ცხოვრებიდან; დასახელებულ ადგილებში არავითარი ავტონომიები არ მოიპოვება გვგონია და აქ მაინც გაისმის აღნიშნული „ლოზუნგები“. და ეს არც უნდა იყოს საკვირველი, რადგან ამ უკანასკნელს საუკეთესო ნიადაგი აქვს სწორეთ მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობს ავტონომია. მაშინ კაპიტალისტები უფრო ადვილათ იტყუებენ მუშებს ნაციონალისტ-შოვინისტურ გზაზე, რადგან უფრო ადვილათ არწმუნებენ, ვითომ ავტონომია ადგილობრივ მუშებს აძლევდეს შრომის შინაურ ბაზრის მონოპოლიას. რ. ა. ირწმუნება, რომ ავტონომიის დროს „მუშების გულის მოსაგებათ და მათ ნაციონალიზმზე მისაჯაჭვათ, ადგილობრივი ბურჟუაზია ასეთ მათ მისწრაფებას (ე. ი.—არ შემოუშვან უცხო მუშები) **ხშირაო** (ხაზს თვითონვე უსვამს) კანონებს“-ო.

ჯერ ერთი, რომ აღნიშნული დაკანონება **ხშირათ** კი არა, ძალიან იშვიათათ ჰხდება და მეორეც, ეს ყოველთვის თვითონ მუშათა კლასის მეოხებით არის ხოლმე, რადგან ბურჟუაზია როგორც შევნიშნავდით წინა წერილში, და როგორც ეხლა გვეთანხმება რ. ა., ცხოვლათ დაინტერესებულია შრომის ადგილობრივ ბაზარს, რაც შეიძლება, მეტი მუშა ხელი აწყდებოდეს. ბურჟუაზიამ უცხო ერის მუშათა შემოსვლის შეზღუდვა შეიძლება ითავოს მხოლოთ იმ ერთ შემთხვევაში, რომელსაც გაგვახსენებს თვითონ რ. ა., სახელდობრ, როცა გარედან მოსული მუშები უფრო შეგნებულნი არიან, ვინემ ადგილობრივი, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათი გამონაკლისია; ჩვეულებრივათ კი, მოსული მუშები ადგილობრივებთან შედარებით, დაბლა დგანან ხოლმე კულტურულათ, რისთვისაც ისინი ხშირათ აუარესებენ ხოლმე შედარებით დაწინაურებულ მუშების მდგომარეობის. ამიტომაც არის, რომ უცხო ერის მუშათა შემოსვლის საკითხი ბურჟუაზიას კი არა, სწორეთ მუშათა კლასს გახდომია თავ-სამტვრევ საქმეთ*).

თუ გვინდა, მუშებს აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტაში თავიდან ავაშოროთ „ბურჟუაზიის ნაციონალისტ-შოვინისტური ლოზუნგები“, უნდა ვეცადოთ მათ კლასიურ გათვითცნობიერებას. და ამ საქმეში ერთ—ერთი ხელის შემწყობი პირობა კი არის სწორეთ ავტონომია. რ. ა. გვიკიჟინებს, ვითომ ავტონომია ჩვენ გამოგვქონდეს „ყოვლის გამკურნავ ელექსირათ“. ეს ხალასი ცილის წამებაა. თანამედროვე საზოგადოებისათვის ჩვენ ვიცით მხოლოთ ერთი „ელექსირი“, ეს არის სოციალიზმი; ავტონომია კი ერთ ერთი პოლიტიკური რეფორმაა, რომელიც გვიადვილებს ჩვენი მიზნისაკენ მსვლელობას, ისე, როგორც ამას გვიადვილებს პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლებანი. დიახ, „ავტონომია ჩვენთვის **ერთ-ერთი** (და არა **ერთათ-ერთი,** როგორც ყალბათ თავს გვახვევს რ. ა.) საშუალებაა მუშათა კლასის გაცნობიერებისა და მის ძალთა ორგანიზაციის გასაადვილებლათ“ („ჩვ. კვ. № 18). ამიტომაც, ვითხოვთ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას.

რ. ა. ჩვენი სახელის დასაცემათ გაიძახის „ცენტრალისტური პრინციპი—საშინელი ბოროტებაა, დეცენტრალიზმი კი მესსია—მხსნელია, ამით გვიჰედენ ყურებს ფედერალისტები, ამასვე გვიჩიჩინებს ახლა „ჩვენი კვალი“ („იმედი“ № 5).

მართალია, სოც.-ფედერალისტები აღიარებენ, რომ ცენტრალიზმი ცუდია, ხოლო დეცენტრალიზმი კარგიაო, მაგრამ ს.-ფედერალისტები აღიარებენ აგრეთვე იმასაც, რომ $2 \times 2 = 4$ და ნუ თუ ეს საბუთია იმისი, რომ ჩვენ გამოვაცხადოთ 2×2 კარტოფილის სანთელიაო!? მეორეც, ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, ვითომ აბსოლიუტურათ ცენტრალიზმი—ბოროტებაა და დეცენტრალიზმი კი განხორციელებული სათნოებაოო. ცენტრალიზმის გა-

---

*) ეს საკითხი მაბ. ამერიკაში წელსაც განიხილა იქაურ სოციალისტურ პარტიამ წლიურ კონგრესზე, მაგრამ მაინც მკაფიოთ გადაჭრილ გზას ვერ დაადგა და ისევ ორპოფი რეზოლიუცია გამოიტანა. ამის შესახებ იხ. კორესპოდენცია ამერიკიდან „ჩვენ კვალში“

პრინციპება და მის წინაშე ყოველგან და მუდამ გუნ-დრუკის კმევა თქვენი, ამხ. ცენტრალისტების ხელობაა, თქვენივე საქმეა პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის მუდამ და ყველგან დაგმობა-შეჩვენება. ჩვენთვის კი, როგორც ყველა შეგნებულ მარქსისტისათვის, არ არსებობს არავითარი აბსოლიუტური დებულებანი და გაქვავებული პრინციპები. ზოგჯერ და ზოგან ცენტრალიზმი კარგია, ზოგჯერ და ზოგან ცენტრალიზმი „დიდი ბოროტებაა". ასევე ითქმის დეცენტრალიზმზე. ამიტომაც ვწერდით ჩვენ: „ყველაფერი დამოკიდებულია დროსა და ადგილის პირობებზე. თუ გვინდა რომ უზრუნველ-ყოფილი ვიყოთ შეცდომებისაგან, საქმეს (ცენტრალიზმ-დეცენტრალიზმის საკითხს) უნდა განვიხილავდეთ კონ-კრეტიულათ". („ჩვ. კვ." № 18) და აი, სწორეთ ამ კონკრეტიულ განხილვას მივყევართ იმ დასკვნაზე, რომ დღევანდელს რუსეთში ნაციონალურ საკითხის გადასა-წყვეტათ არსებობს მხოლოთ ერთათ-ერთი გზა. სახელ-მწიფოში უნდა გატარებულ იქმნას პოლიტიკური დე-ცენტრალიზაცია, განაპირა ქვეყნებს უნდა მიენიჭოს **ავტონომია!**

—

P. S. „იმედის" მეპრესე (№ 14) „ჩვ. კვალის „ნა-ციონალისტურ სულისკვეთებას" და „სიგლახეს" იმით ამტკიცებს, რომ მას ჩვენს ნაწერებში შეხვედრია სიტ-ყვები: „დაჩაგრული ნაციები" (და არა დაჩაგრული კლა-სები) „ქართველები" (და არა პროლეტარიატი) და სხვ. ასეთ წერილებზე „იმედის" მეპრესეს ჩვენ პასუხს არ ვალირსებთ.

ინტერნაციონალის კრება.

(წერილი ბრიუსელიდან)

(შემდეგი იხ. „ჩვ. კვ." № 23).

მორიგ კითხვებში საყურადღებო იყო: სოციალის-ტურ პრესის მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი ნა-ციონალური სექციების მიღება ინტერნაციონალში და ევროპის ეხლანდელი პოლიტიკური კითხვა. ჩავყვეთ რიგ-რიგათ.

რაც შეეხება სოციალისტურ პრესას, ყველასათვის ცხადია, რომ სოციალისტური პრესა ღარიბია. დღე-ვანდელ ბურჟუაზიულ ხანაში პრესაც კომერციულ ფინანსიური ანტრეპრიზაა; განვითარებული ტეხნიკა გაზეთისათვისაც დიდი ძალაა; გაზეთი იმდენათ იაფია, რამდენაც მისი დაბეჭდვის, აწყობის და გადაზიდვის ტეხნიკა გაუმჯობესებულია გაუმჯობესებული ტეხნიკა ბურჟუაზიის მონოპოლიაა, რადგანაც დიდი კაპიტალიც მას ეკუთვნის; სოციალისტურ პრესას ასაზრდოებს მუ-შათა კლასი და ამას კი, მოგეხსენებათ, დიდი კაპიტა-ლი არ გააჩნია. ბურჟუაზიული პრესა მდიდარია ცნო-ბებით საერთაშორისო ამბებზე; მას ყავს ყველგან აგენტები, კორესპონდენტები, მის ხელშია ტელეგრაფე-ბი, ტელეფონები და სხვა საშვალებები; მუშათა კლა-სიც დაინტერესებულია თვალ-ყურს ადევნებდეს საერთა-შორისო მაჯის ცემას; მაგრამ როგორ? სოციალისტუ-რი პრესა ღარიბია მატერიალურათ, მაშასადამე, ღარიბია ცნობებითაც. ის ცნობებს იღებს ხშირათ ბურჟუაზიუ-ლი პრესსიდან, მაგრამ ბურჟუაზიული პრესსის ცნობები ხან და ხან ტყვილია, ხშირათ კი ტენდენციურია. ამნაირათ, სოციალისტური პრესა ორ ცეცხლშუა იწვის. როგორ გადაწყვიტა ინტერნაციონალის კრებამ ეს კითხვა?

თუ რომელიმე ქვეყნის სოციალისტურ პარტიას ყოველ დღიური გაზეთი არ აქვს, იქ ბიუროს დახმა-რებით ბიულეტენები უნდა გამოიცეს და სხვა...

მეორე კითხვაა — ინტერნაციონალში ახალი ნაციო-ნალური სექციების მიღება. პირველათ ინგლისის ძლიერ მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელმა გლეი-ზერმა ითხოვა მიღებული იყოს მისი პარტია ოფიცია-ლურათ ინტერნაციონალურ კონგრესებზეო.

„მართალია, ამბობს გლეიზერი, ჩვენ არ ვატა-რებთ სოციალისტურ ეტიკეტს, მაგრამ იმათზე ნაკლებ არ ვემსახურებით სოციალიზმს, ვინც ამ ეტიკეტს ატა-რებსო, ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი ორგანიზაციები ბურჟუაზიისაგან; არჩევნების დროს ჩვენ სოციალისტებს ვაძლევთ ხმასო. კაუცკი არ ეთანხმება გლეიზერს; სოციალისტურ პარტიისთვის საჭიროა სოციალისტური მიზანი და სოც. საშვალებებიო, ამბობს კაუცკი, „Iabour Party"-ის კი არც ერთი აქვს არც მეორე, მას ნათე-ლი პროგრამა აკლიაო. მაგრამ კაუცკის მაინც შეაქვს წინადადება, რომ მიღებული იყვეს I. p. ინტერნაციო-ნალურ კონგრესებზე, რადგანაც ის **პრაქტიკულათ** სოციალიზმს ემსახურებაო და სრული დამოუკიდებელი მუშათა ორგანიზაციები აქვსო, მართალია, კაუცკის წინადადებას არ ეთანხმებიან ინგლისის ს-დ. ფრაქციის წარმომადგენელი ჰაიდმანი, პეტერბურგელი ლ—ნი და გედისტების წარმომადგენელი ქალი რუსელი, მაგ-რამ ბოლოს მისი რეზოლიუცია მაინც მიღებული იქნა და ამნაირათ ინგლისის „I. Party" ინტერნაციონალურ კონგრესებზე ოფიციალურათ მიღებული იქნა, სიონის-ტების თხოვნა არ შეიწყნარეს, ისინი არ იქნენ მიღე-ბულნი ინტერნაციონალში.

შემდეგ კრება ევროპის დღევანდელ პოლიტიკურ კითხვაზე გადავიდა და ამაზე დაახლოვებით შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

რადგანაც ინგლისსა და გერმანიას შორის იმპე-რიალისტურ-კაპიტალისტური ინტრიგებია; მაროკოს ექსპედიცია და სპეკულიაცია კიდევ გრძელდება; ბალკანეთში უცხოელების ამბიციები (властолюбіе) ნაციონალურ და რელიგიურ შუღლს სთესენ, რადგა-ნაც სოციალისტური პარტიები და პროლეტარიატის ორგანიზაციები ერთათ ერთი ძალაა ინტერნაციონა-ლურ მშვიდობიანობის დასაცველათ, საჭიროა, რომ ამ უკანასკნელებმა ინტერნაციონალურ ბიუროს დახმარებით ყოველივე საშვალება გამონახონ, რათა ნაციონალურათ და ინტერნაციონალურათ ომს წინააღმდეგობა გაუწიონ".

კრების შემდეგ ინტერნაციონალური მიტინგი გაიმართა. ბრიუსელის სახალხო სახლის დიდი ზალა ხუთი ათასზე მეტ მსმენელს იტევს; თავმჯდომარეობს ბელგიელი დებრიუკერი; ლაპარაკობენ დებრიუკერი, კაუცკი, ადლერი, ჰინდმანი და სხვები, თორმეტ ორატორამდის (ბებელი, ჟორესი და . ვანდერველდი არ არიან ამ კრებებზე). თემა ბალკანეთის პოლიტიკაა.

„დიდი კრიზისი დაგვიდგაო, ამბობს დებრიუკერი, ქვეყანაზე ბევრი ახალი ერები დაიბადა; ეს ეროვნების კრიზისია; ეს ნაციონალური ფორმა (პოლიტიკურ ფორმაზეა ლაპარაკი. მინერი), რომელსაც ხალხები იღებენ, აუცილებლათ საჭიროა მათ განსავითარებლათ, ჩვენ სალამს ვაძლევთ ამ მოვლენას, რაც მოასწავებს დიდ პროგრესს, პროგრესს, რაც ჩვენ გვიმზადებს ნიადაგს, სადაც უნდა აღმოცენდეს კლასთა ბრძოლაო“. შემდეგ დებრიუკერი გადადის კონგოს კითხვაზე.

მკითხველს ეცოდინება, რომ ამ რამდენიმე თვის წინეთ ბელგიის ბურჟუაზიამ აფრიკის უზარმაზარი ქვეყანა შემოუერთა პატარა ბელგიას. ბელგიის მუშათა პარტია თავ-განწირულათ ებრძოდა მთელი წლის განმავლობაში ბურჟუაზიულ კოლონიალიზმს. გასულ მაისის არჩევნებზე სოციალისტებმა სასტიკათ დაამარცხეს კლერიკალები და ზომიერი ლიბერალები; 30 მაგივრათ პარლამენტში 35 თავისიანები გაგზავნეს, ამნაირი ბრწყინვალე გამარჯვება კოლონიალურ პოლიტიკის საწინააღმდეგო ბრძოლის ნიადაგზე მოხდა. დებრიუკერი განაგრძობს: „როდესაც იქ (აფრიკაში) ჩვენი ბურჟუაზია განსაცდელში ჩავარდება, როდესაც შავი რასა განვითარების მაღალ საფეხურზე ავა და თავის ნაციონალურ დამოუკიდებლობას მოინდომებს, ჩვენ არ გაუშვებთ ჩვენ სალდათებს იმათ საწინააღმდეგოთ და თუ ერთ დროს გავიგეთ, რომ ნეგრების აჯანყებამ გაიმარჯვა, ჩვენ აქ, ბრიუსელში ჩვენ სახალხო სახლს წითელი ბაირაღებით შევამკობთო“. შემდეგ ილაპარაკეს ადლერმა, კაუცკიმ, ჰინდმანმა; აგრეთვე შვეციის, ბოლგარიის ჩეხიის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

„ჩვენ ვცხოვრობთ საშიშარ დროშიო, ამბობს ადლერი (ავსტრიის ს. დ. წარმომადგენელი), ბოლგარიის დამოუკიდებლობა კარგია, რადგანაც ყველა ერებისთვის საჭიროა თავისი ცხოვრებით იცხოვროს, მაგრამ დიპლომატიის ამნაირ ხრიკებს შეუძლია ნიადაგი მისცეს ოსმალეთის კონტრ-რევოლიუციას.

რაც შეეხება ბოსნია-ჰერცეგოვინას შემოერთებას ავსტრიასთან, ჩვენ ამის პრინციპიალურათაც წინააღმდეგი ვართ, რადგანაც ჩვენთვის ამდენ ხანსაც თავსატეხი იყო ამდენი ერები და ეხლა ახალიც მოგვიმატეს თავ-სატეხათო. ასეთივე იყო დაახლოვებით სხვა ორატორების აზრიც. ამასთან, შემდეგი რეზოლიუცია ერთხმათ მიღებული იყო: „ინტერნაციონალური მიტინგი, რომელიც შეკრებილია 10 ოქტომბერს ბრიუსელის სახალხო სახლში, კანონიერათ აღიარებს ნაციონალურ ავტონომიებს.., მაგრამ დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი ყოველივე ღონეს იხმარს მშვიდობიანობის დასაცველათ ერთა შორის და მედგრათ შეებრძოლება კაპიტალისტურ მილიტარიზმს, რომელიც სულს უხუთავს და სჩაგრავს ხალხებს“.

ინტერნაციონალი „ინტერნაციონალის“ სიმღერით დაიშალა.

მინერი.

სახელმწიფო დუმა

23 დეკემბრის სხდომაზე დუმა შეუდგა ცხრა ნოემბრის კანონის გარჩევას. სალაპარაკოთ ჩაეწერა 210 დეპუტატი. პირველი სიტყვა ეკუთვნის კომისიის მომხსენებელ შიდლოვსკის. მისი სიტყვა გაგრძელდა საღამოს ხუთ საათამდე.

შიდლოვსკიმ დაიწყო თავის მოხსენება იმით, რომ აღნიშნა, თუ რა იყო მიზეზი ცხრა ნოემბრის კანონის სხვა სამიწათ-მოქმედო კანონ-პროექტებიდან გამოყოფის. ამის საბუთად შიდლოვსკის მოყავს ის გარემოება, რომ ცხრა ნოემბრის კანონი უკვე ძალაშია შესული, ხოლო სხვა კანონ-პროექტები ჯერ კიდევ პროექტებათ არიან დარჩენილნიო.

შიდლოვსკი შეეხო მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების აგრარულ კანონმდებლობას, შეეხო პირველ დუმაში პეტრუნკევიჩის მიერ წარმოთქმულ სიტყვას 61 წ. რეფორმის შესახებ და განაგრძო: „საფუძვლათ უფლებრივ სახელმწიფოს უდევს თავისუფალი, ენერგიული და დამოუკიდებელი პიროვნება; ეს პიროვნება ჩვენ არ გვეყოლება ისე, თუ არ მივცემთ მას საკუთრების უფლებას თავის ქონებაზე: მაშასადამე, ვისაც ნამდვილათ სურს ჩვენი სახელმწიფო გადაიქცეს უფლებრივ სახელმწიფოთ, მას არ შეუძლია წავიდეს მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ“. შემდეგ მომხსენებელი გადადის შრომის ნაყოფიერებაზე და აღნიშნავს, რომ მთელი 45 წლის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა ამ ნიადაგზე.

შიდლოვსკის მოყავს რა ისტორიული მიმოხილვა მიწათ-მფლობელობის სხვა და სხვა სახეთა,—მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსეთისთვისაც „ობშჩინური“ მიწათ-მფლობელობა უკვე დაძველებული ფორმაა, დადგა დრო, როცა ჩვენც უნდა მივბაძოთ ჩვენს მეზობლებს და გადავიდეთ პირად მიწათ-მფლობელობაზე“-ო.

შემდეგ აღნიშნა რა შეუმუშავებლობა და მიუდგომლობა ცხოვრების სინამდვილესთან მიწის ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის თეორიისა, მომხსენებელი შეჩერდა მიწის იძულებით ჩამორთმევაზე. მიდის რა იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია მიღებულ იქნას მიწის იძულებითი ჩამორთმევა, შიდლოვსკი ამბობს, რომ რუსეთის დღევანდელი პირობები არ არის განსაკუთრებული, ასეთი პირობები უკვე გაიარეს სხვა სახელმწიფოებმაო. დასასრულ მომხსენებელი ამბობს: „ცხრა ნოემბრის კანონი საშუალებას მისცემს თითეულ მიწათ-მფლობელის შემომქმედ ძალას ფრთა გაშალოს. საჭიროა მხოლოთ ამისათვის სასურველი პირობები შევქმნათ, და მაშინ თვით ჩვენ გავკვირდებით და სხვებსაც გავაკვირვებთ იმ სწრაფი ტემპით, რომლითაც ჩვენ წავალთ და დავეწევით ყველას მასში, რაშიაც ეხლა ჩამორჩენილნი

ვართ“. შიდლოვსკიმ დაასრულა სიტყვა. შემდეგ ილაპარაკა ეპ. **მიტროფანმა** და **კროპოტოვმა**. პირველი მემარჯვენეთა სახელით მიემხრო მომხსენებლს, ხოლო მეორე წინააღმდეგია.

სხდომა დაიხურა საღამოს 6 საათზე.

24 ოქტ. სხდომა.

კამათია ცხრა ნოემბრის კანონის შესახებ. თავმჯდომარე მოახსენებს დუმას, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ შამოიტანა დამატება 9 ნოემბრის კანონზე და წინადადებას იძლევა გადასცენ კომისიას. იმართება კამათი. ბოლოს, ხმის უმეტესობით დამატებას ღებულობენ და გადასცემენ კომისიას. ლაპარაკობენ: როდკოვი, შინგარიევი, გეგეჭკორი და სხ. მათი სიტყვა შეიცავს მომხსენებელის კრიტიკას. **გეგეჭკორი** ამბობს, რომ გაბატონებული კლასები ყოველთვის სარგებლობდენ „ობშჩინით“ თავის ინტერესებისთვის და ეხლანდელ სამიწ. მფლობელო კანონმდებლობაშიც ცხადია, დარღვეული იქნება გლეხობის უმრავლესობის ინტერესები. შემდეგ გეგეჭკორი არჩევს, თუ რა გაუკეთებია მთავრობას გლეხების სასარგებლოთ და ასკვნის, რომ თუ ეხლა მთავრობას სურს „ობშჩინის“ გაუქმება, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ გლეხთა არეულობები მას გამოწვეული ჰგონია გლეხთა კომუნისტური სულის კვეთებით, ხოლო ამ უკანასკნელს კი „ობშჩინის“ შედეგათ სცნობს. „სოციალ დემოკრატების აზრით,—ამბობს გეგეჭკორი—გლეხებმა უნდა მიიღონ მიწა უსასყიდლოთ ჩამორთმევის საშუალებით, მათი უუფლებობა უნდა გაუქმდეს მის საზოგადოებრივ და პირად ცხოვრების დემოკრატიზაციით და მოისპოს წოდებრივი ურთიერთობა“.. ობშჩინა“ უნდა იყოს თავისუფალი, ნებაყოფლობითი კავშირი თავისუფალთა. აგრარული კითხვის გადასაწყვეტათ სოც. დემ. ფრაქცია სცნობს საჭიროთ (ხმა: ბოდბებს) უარყონ ცხრა ნოემბრის კანონი და გადავიდენ მორიგ საქმეებზე“ შემდეგ, 9 ნოემბ. კანონის დასაცველათ ლაპარაკობს გრძელ სიტყვას შინ. საქ. მინ. ამხ. ლუკოშინი.

27 ოქტ. სხდომა.

რამდენიმე წვრილმან კანონ პროექტების განხილვის შემდეგ დუმა გადადის ისევ 9 ნოემბრის კანონზე. ლაპარაკობენ მოწინააღმდეგენიც და მომხრენიც. სხვათა შორის გრ. **უვაროვი** ეხება შინგარევის სიტყვას და ამბობს: დანაშაულობაა ის, რომ ისეთი საყურადღებო კან. პრ., როგორიც არის 9 ნოემბ. კანონი, აენამდის გაურჩეველი დარჩაო. უვაროვი ამაში ბრალს სდებს არა მთავრობას, არამედ მეორე სახ. დუმას.

29 ოქტ. სხდომა.

გრძელდება კამათი 9 ნოემბ. კანონის შესახებ. ლაპარაკობენ თავ. ვოლკონსკი, გრ. ბობრინსკი, როდიჩევი, ბობრინსკი 2, მომხსენებელი შიდლოვსკი, პეტროვი მე-3 და სხ. ამათგან 9 ნოემბრის კანონის წინააღმდეგ ლაპარაკობენ მხოლოთ როდიჩევი და პეტროვი. უკანასკნელი თავის სიტყვას ველარ ასრულებს, რადგან საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, თავმჯდომარე იძულებულია სხდომა დახუროს.

სხვა-და-სხვა ამგები

ჩვენში

26 ოქტომბრის სხდომაზე სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა სთხოვის ქალაქის გამგეობას, დროზე ჩაიბაროს ზუბალაშვილის სახელობის ს ახალხო სახლი და დააჩქაროს მისი გათბობა-განათება, რომ შესაძლებელი დარჩეს შიგ ლექციებისა და წარმოდგენების მართვა.

✦ თბილისში შემდგარა ინტელიგენტთა წრე. წრე აარსებს ქართულ, სომხურ და თათრულ ენების კურსებს იმ რუსთათვის, რომელთაც ამ ენის შესწავლა უნდათ.

✦ 27 ოქტომბერს ბათუმში გახსნეს სასწავლებელი მაჰმადიანთათვის. სკოლაში ჯერჯერობით ოცი ბავში შესულა, ამათგან 6 ქალი. მასწავლებლათ მიუწვევიათ შურკი-ეფენდი ვარშანიძე

✦ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მოიწვიოს თბილისში 7—15 დეკემბრამდე კავკასიის სოფლის მეურნეთა კრება.

✦ დღეს, ორ ნოემბერს, თბილისის საკრებულოს დარბაზში, რუსულ ენაზე, წაიკითხავს ლექციას ლეიპციგის უნივერსიტეტის სტუდენტი მ. წულუკიძე შემდეგ თემაზე: „უმთავრესი მიმართულებანი თანამედროვე ხელოვნებაში“.

ქუთაისი.

ორშაბათს, 27 ოქტომბერს ილიას ფონდის გასაძლიერებლათ გამართულ საღამომ ჩინებულათ ჩაიარა. ხალხი ბლომათ დაესწრო. მოსწავლე ახალგაზდობას კი, რაღაც მიზეზების გამო, ნაკლებათ ვხედავდით ამ საღამოს. მგოსნის, დაფნის გვირგვინებით შემკულ, სურათთან ლექსი წაიკითხა ს. ხუნდაძემ, თუთბერიძემ, და ნ. ერისთავმა. ხალხი გაახალისა ბ-ნ იონა მეუნარგიას მიერ ილიას შესახებ „ნახულ. გაგონილის“ წაკითხვამ. შემდეგ „კაცია-ადამიანი“დან, გრიმებში, წაიკითხეს ზოგიერთი ადგილები. კარგათ დაახასიათა ბ ნ შალიკაშვილმა ლუარსაბ თოქარიძე, ჯავახიშვილისამ—დარეჯანი და ქ-ნ ქავთარაძისამ მათი რძალი. გრძნობიერათ წაიკითხეს ქ-ნ დავითაშვილისამ და ნ. ერისთავმა ილიას ლექსები. დიდებული სანახავი იყო, დასასრულ, აპოთეოზი. ილიას სურათი გარშემორტყმული იყო მისი ნაწარმოების სხვადასხვა ტიპებით: ილიას სურათს მაყურებელი საზოგადოება ფეხზე ადგომით მიეგება. ხალხი ძლიერ კმაყოფილი დაიშალა. საღამოს მომწესრიგებელნი მადლობის ღირსი არიან.

✦ გვეწვია ქ-ნი იავორსკაია თავის დასით. ითამაშეს იბსენის „გედა-გამბლერი“.

✦ 28 ოქტომბერს ადგილობრივ საგუბერნიო ციხეში ჩასვეს ლეჩხუმიდან ჩამოყვანილი 13 გლეხი. მათ სხვადასხვა დანაშაულობა ბრალდებათ.

✦ 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ვიღაცამ **თავს დაესხენ** რეალურ სასწავლებლიდან ხაზინაში მიმავალ, იმავე სასწავლებლის ზედამხედველ მ. ჭიჭინაძეს. წაართვეს 2800 მანეთი. მძარცველნი მიიმალენ.

✦ 24 ოქტომბერს, თფილისის სამოსამართლესიამ განიხილა, ამას წინათ გადადებული **ის. კვიცარიძის** საქმე. ბრალდებოდა 1905—1906 წ. თავის მაღაზიაში აკრძალულ ბროშიურათა გაყიდვა. პალატამ ბრალდებულს **ერთი წლით დატუსაღება მიუ-**

საჯა. კვიცარიძე საქმეს სენატში ასაჩივრებს. ბრალდებულს იცავდენ ნაფიცი ვექილები: ა. საყვარელიძე და ი. კაჩუხაშვილი.

—

შეცდომის გასწორება: ამას წინათ მოხსენებული გვქონდა, რომ მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის რეალურ სასწავლებელში დამოკიდებულების გამწვავების მიზეზი **ფრანგული** ენის მასწავლებელი იყო. ნამდვილათ კი საქმის გამწვავების მიზეზი იყო **გერმანული** ენის მასწავლებელი და ზოგიერთ მოსწავლეთა უტაქტიკო მოქმედება.

—

შემოხვევით, ამ №-ში ტექნიკურ მიზეზების გამო ვერ იბეჭდება „რუსეთი", „სპარსეთი" და „ბალკანეთი".

მნათობთა ჩიტვილი

(დასასრული)

კოპწია ცისკარმაც თავი მოისასტიკა. წყრომის ნიშნათ ძირს დაჰხარა თავისი შუქი და სხივების ნაზი, შეუმჩნეველი წკრიალა ხმით მიუბრუნდა მზეს:

— შენ არ შეგაწუხებდი ლაჟვარდოვანო! რომ შემძლებოდა, მე თვით მოვსპობდი დედამიწის არსებობას.

მნათობნი.

— ყოჩაღ ცისკარო!

— ყოჩაღ ლამაზო!

— უფრო გამბედავათ!

— უფრო რიხიანათ!

ცისკარი.

— რაღაა დედამიწა, როცა იქ აღარ ჰყვავის, აღარ სურნელოვანობს სილამაზე, არ იფურჩქნება მშვენიერება და ყოველი გვარი სიწმიდავე, სიფაქიზე შელახულია, ტალახში ამოსვრილი, სამკაულ ჩამოცლილი და ფას დაკარგული?

მაშ მე რაღათ ვუყურიდე დამიწას? ის ხომ ვეღარ აფასებს ჩემს სილამაზეს, ჩემს სისპეტაკეს?

რამდენი ხანია ჩემ სხივებს აღარ უხილავთ ჩემსკენ ოცნებით მოპყრობილი თვალები?...

რამდენი ხანია ჩემ სილამაზეს ერთხელაც აღარ მოუჯადოვებია დედამიწა და მაშ რაღათ ვუყურო მე მას?

მზეო, დამიხსენ დედამიწისგან!

ამის შემდეგ აღარ ვახარებ ხოლმე მიწას შენ დიდებულ ამოსვლას. აღარც მოვუვლენ ხოლმე საღამოობით ტკბილ, სანეტარო ძილს.

მე შემეზიზღა დედამიწა!

შემძაგდა იგი!

მნათობნი.

— ზიზღის ღირსია დედამიწა.

— ზიზღის ღირსია!

— ზიზღის ღირსია!

ჩქარა გამოჩნდა მერკურიც.

მიცქრიალდა მზის წინ და მოახსენა:

— დიდებულო მზეო! საბრალო დედამიწა შავ დღეს განიცდის. სიბნელით მოცული, გზა აბნეული სისწრაფით მიექანება სადღაც დროსა და ადგილის გარეშე მურფ წყვდიადში და ჩქარაც გადაჩეხება სადმე სამყაროს უფსკრულში, ან არარაობაში.

მნათობნი.

— მისი გზაც იქ არის.

— ეგრე ეკუთვნის!

— ახია მაზედ!

— ახია მაზედ!

მ ზ ე.

— მნათობნო! დავიხსნათ დედამიწა დაღუპვისაგან.

მნათობნი.

— დაე, დაიღუპოს!

— ის ღირსი არის დაღუპვის!

— ის ღირსი არის არარად ქმნის!

— ის ღირსი არის არარად ქმნის!

მ ზ ე.

ოო, სხივოსნებო! ცოტახანს მაინც დამიგდეთ ყური! მეც აღარ მახსოვს თუ რა ხნიდან ვზრდი და ვამაგობ ეხლა ყველასაგან განწირულ დედამიწას.

რამდენი სითბო, რამდენი სინათლე, რამდენი ძალა დამიხარჯია მე მაზედ.

ჩემის დაუზოგავი სხივებით როგორ ვანაზებდი, როგორ ვამშვენიერებდი, ვამდიდრებდი და ვაცხოველებდი მას!

რამდენი ამაგი მაქვს დახარჯული მასზედ, რამდენი! თქვენც უნდა გახსოვდეთ და დროც მოწმეა.

დრომ თანხმობის ნიშნათ დიდებულათ ჩამოისვია წვერზედ ხელი და თავი ჩალუნა.

მზე.

— ოო მნათობნო, ულამაზესნო, უკეკლუცესნო, ულმობიერესნო! დავისხნათ დედამიწა არარად ქმნისგან! შეურიგდით მას; ნუ მოვუსპობთ უდროოთ ხანმოკლე სიცოცხლეს! ნუ დავარღვევთ ამით ქვეყნიურ, დიდებულ ჰარმონიას!

მნათობნი.

— შეიძლებოდა მზის ხათრით.

— მზის პატივისცემით.

— მზის სიყვარულით.

აქ მოწყენილმა სატურნმაც ამოიღო ხმა და ამით მის სხივებმაც სიხარულით იწყეს ციმციმი.

— მნათობებო, დროს დავეკითხოთ!

თუ ის კიდევ იკისრებს დედამიწის ტარებას, მაშინ ჩვენც შევუსრულოთ დიდებულ მზეს ეს ერთი თხოვნა.

დრო.

— თუ თქვენ აიტანთ დედამიწის საზიზღრობას, ულაზათობას, გათახსირებას, მაშ მეც ავიტან.

მე შევეჩვიე მოთმინებას და სულ-გრძელობას.

ცისკარი.

— დაე, იმან აღადგინოს სილამაზე, სიწმიდავე და მეც შევურიგდები!

მთვარე.

— დაე, იმან აღადგინოს სიყვარული, ნეტარება, სიხარული და მეც შევურიგდები!

შუქურ ვარსკვლავი.

— დაე, იმან აღადგინოს სიმდიდრე, სიდიადე, სიამაყე და მეც შევურიგდები!

სატურნი.

— დაე, იმან აღადგინოს პატივისცემა, მეგობრობა, ჩვენი ნათესაობა და მეც შევურიგდები!

მნათობნი.

— დაე, ჩვენც გვცემდეს პატივს და შევურიგდებით!

— დაე, ჩვენც გვესიყვარულებოდეს!

— დაე, ჩვენც გვეტრფოდეს!

— დაე, ჩვენზეც ოცნებობდეს!

მზე.

— გასწი მერკურო და უბრძანე მნათობთ სურვილი, თუ ჰსურს დაიხსნას თავის თავი განსაცდელისგან და თანახმაა შეასრულოს მნათობთ მოთხოვნა, მაშინ უთხარი გამოცხადდეს ამ წამსვე ჩვენ წინ და მოვახდინოთ შერიგება სამყაროს შვილთა!

გაჰქრა მერკური.

მათ მოლოდინში მნათობებმა გააჩაღეს მუსიკა და გალობა. ცისკარმა, შუქურმა და სხვებმა სიმებათ მისთავაზეს თავიანთი სწორე და ნაზი სხივები, მათზე კი საოცნებოთ ააღერეს ჰანგები თავიანთი მოციმციმე, სხვადასხვაფერათ მოელვარე სხივებით სირიუს-ბეტელგეიზემ, ტყუპებმა და სხვებმა და მათ მოძახილს ეუბნებოდენ ანგელოზები და ეთეროსნები.

ჩქარა დაბრუნდა მოციქული მერკური.

უკან მოსდევდა დედამიწა.

ყველა მნათობებმა თავიანთი ნათელი სახე მიაპყრეს დედამიწას. მასაც თითქოს სცხვენოდა მათის შუქმფენი სხივების და მოუსვენრათ ტრიალებდა.

ხან ერთ გვერდს შეაქცევდა მნათობებს და ხან მეორეს.

დედამიწა.

— ო, მნათობებო, უკეთილესნო, სათაყვანებო, პატივსაცემნო! თქვენ დამიხსენით არარათ ქმნისგან.

მიტოვებულმა დროსაგან, გატყორცნილმა სივრცისაგან, მოშორებით მე განვიცადე ძრწუნვა და შიში არარაობისა და უთავბოლო წყვდიადისა...

ეხლა თქვენი წყალობით შემეძლება ახალათ ვსტკბებოდე თქვენის სილამაზით, თქვენის მშვენებით და მეც ვეცდები ამიერიდან თქვენ კეთილ სურვილს მეც ვაგებებდე წინ ჩემს სიხარულსა და თაყვანებას...

მზე.

— გმადლობთ, სხივოსნებო, რომ ქვეყნიური ჰარმონია არ დაარღვიეთ დედამიწის დაღუპვით.

მაშ გადავკოცნოთ აწ დედამიწა და დავულოცოთ მას ახალი გზა.

მნათობნი.

— გაუმარჯოს ჰარმონიას.

— გაუმარჯოს დედამიწას!

— დღეგრძელ იყვეს მზე!

— დაე, უკეთესათ ანათებდენ ყველას სხივები!

— დაე, უფრო ათბობდეს ყველას სინათლე!

— დაე, უფრო ლამაზდებოდეს ყველას სიმშვენიერე!

ნაზის სხივებით მაგრათ ჩაეკვანძენ ერთი-ერთმანეთს ტურფა მნათობები.

კარგათ დაჰკოცნეს დედამიწაც თავიანთ სილამაზით, თავიანთ სინათლით და გასწიეს თავთავიანთ ადგილზე.

დედამიწასაც შემოუქნია ფრთა დრომ და გააქანა ძველ სამფლობელოში.

მიჰქროდენ მნათობები აქეთ-იქით და თან სალამს უძღვნიდენ ერთი-ერთმანეთს ეთერთან მოცქრიალე ნარნარა სხივებით...

მიწაც განაგრძობს თავის ძველ მგზავრობას.

მზეც უხვათ უგზავნის ისევ თავის სითბოს, თავის სინათლეს.

ცისკარიც ხშირათ დაჰხედავს ხოლმე საძიოოთ გამზადებულ ქვეყანას, ან მზის მახარობლათ მოეცლინება

ხოლმე მას და აოცებს ქვეყანას თავის სიტურფით, თავის მიმზიდველობით.

მერკურიც ისევ ძველებურათ ეკეკლუცება დედამიწას: ხან წინ გადაუხტება, ხან უკან და ისე ატარებს თავის დღეს.

თუ მზე აძლევს დღეს, მთვარეც უნათებს ღამეს და დაჰხარის მას.

ვარსკვლავებიც დასციმციმებენ ნეტარებით და სწამთ, სწამთ ყველას, რომ დედამიწა შეასრულებს მათ თხოვნას, მათ სურვილს..

ლევ. მეტრეველი.

* *
*

მეყვარები, თუ რომ იცი,
რაა მოთქმა, ტანჯულთ კვნესა,
თუ რომ იცნობ ბედისაგან
დაჩაგრულს და მწუხარესა.

—

მეყვარები თუ რომ იცი,
როგორ ერთვის ლხენა-შვებას,
სისხლი—ცრემლსა, მოთქმა -სიცილს
და ვაება მწუხარებას.

—

მეყვარები, თუ წინ მიხვალ,
გსურს დალეწო ბორკილები,
გზას გინათებს მტკიცე რწმენა
და აღსავსე იმედები.

—

თუ სიმართლეს თანაუგრძნობ,
ძმობის დროშას ეზიდები,
მისთვის ტანჯვა არათ გიჩანს,
მხოლოთ მაშინ მეყვარები...

ლ. ესმაშვილი.

მეფე შიმშილი

(თხზ. ლეონიდ ანდრეევისა)

წარმოდგენა ხუთ სურათად, პროლოგით.

პროლოგი

მეფე შიმშილი ერთგულებას ეფიცება მშიერთ.

სურათი პირველი.

მეფე შიმშილი ასაჯანყებლად იწვევს მომუშევართ.

სურათი მეორე.

მეფე შიმშილი ასაჯანყებლათ იწვევს მშიერთა ბრბოს.

სურათი მესამე.

მშიერთა გასამართლება.

სურათი მეოთხე.

მშიერთა აჯანყება და მეფე შიმშილის ღალატი.

სურათი მეხუთე.

მშიერთა, დამარცხება და გამარჯვებულთა შიში.

პროლოგი

მეფე შიმშილი ერთგულებას ეფიცება მშიერთ.

ღამეა. ძველის ტაძრის სამრეკლოს გუმბათი. იმის უკან—ქალაქის ღამის ცა; ქვემოდან შეჰნათის ქუჩის სანათების გამსჭვირვალე სინათლე. ზემოდან თანდათან ილრუბლება, ტყვიის ფრად ხდება და მძიმე ჯანყად ჩამოდის. საცა ცა ნათელია, იქ აშკარად და გარკვევით, თითქო შავის კარდონისაგანაა გამოჭრილიო, მოსჩანს შავი სვეტები, სტრაფილები, ზარები და ეკლესიის გუმბათის მოაჯირი. კოშკის ძირს შავათ მოსჩანს გაურკვეველი აჩრდილი ეკლესიის ბანისა, რაღაც მილებისა, რომელნიც ადამიანის უძრავ ქანდაკებასა ჰგვანან და რომელნიც თითქოს ათვალიერებენ და ყურს უგდებენ ძირს რასმეო. მხოლოთ ზოგგან ამ სურათზე მოსჩანს უკმო ნათელი ქალაქის სანათურებისა. მკრთალად ციმციმებენ სამრეკლოს მიხვეულ-მოხვეული გვერდები, ყვითლად მოსჩანს სვეტების მომრგვალებული კიდეები. ანგელოსის ქანდაკებას, რომელიც ხელგაშლილი გადმოშვებულა ქვემოდ, მკრთალათ განათებული აქვს სახე, გულმკერდი და ფრთის ბოლოები.

სამრეკლოს კიბის მოსახვევებზე არიან სამნი: **მეფე შიმშილი, სიკვდილი და ძველი დრო—მრეკელი.**

სიკვდილი დგას სრულიად უძრავათ, პირი მობრუნებული აქვს და იმისი შავი აჩრდილი ასე ისახება: პატარა, მრგვალი თავი გრძელ კისერზე, საკმაოთ განიერი, ოთხკუთხი მხრები. ყველა ხაზები სწორი და მშრალი. სიკვდილი გახვეულია სრულიად შავს, მსუბუქ წამოსასხამში, რომელიც მაგრათა აქვს შემოხვეული. მსუბუქ ქსოვილს შიგნით ემჩნევა და თითქოს კიდეც მოსჩანს ჩონჩხი. თითქმის ასევე უძრავათაა და ხანდახან თავს აქნევს **ძველი დრო**. თავი იმას დიდი აქვს, უშველებელის აბურძგნულის, ბებრულის წვერებით და თმებით. პროფილზე მოსჩანს სიავის გამომხატველი დიდი ცხვირი და ჩამოფხატული, ბანჯღვლიანი წარბები.

მეფე შიმშილი მოძრაობს მოუსვენრათ და ცხარედ ისე, რომ ძნელია იმის ფიგურის მოყვანილობის აღნიშვნა. ეტყობა მხოლოთ, რომ იგი მაღალის ტანისაა და მოქნილია.

ლაპარაკობენ **დრო-მრეკელი, მეფე შიმშილი და სიკვდილი.**

— შენ კიდევ მოგვატყუებ, მეფე შიმშილო. უკვე რამდენჯერ მოგიტყუილებივართ მე და შენი საწყალი შვილები.

— მერწმუნე, მოხუცო.

— როგორ ვერწმუნო მატყუარას?

— ამ ერთხელაც დამიჯერე. მხოლოთ ერთხელ კიდევ მერწმუნე, მოხუცო. არასოდეს არ მიცრუებია. მე თითონ ვტყუვდებოდი. უბედური მეფე დამხობილ ტახტისა, მე თითონ ვტყუვდებოდი. შენ ხომ კარგად იცი, რა გაიძვერა, ცრუ და მოხერხებულია ადამიანი, მე დავლუპე ჩემი საცოდავი შვილები, მათის გამხმარის მძორით ვასაზრდოვებდი სიკვდილს...

ხელს მიუშვერს **სიკვდილზე**. ჩვეულებრივათ უძრავი სიკვდილი, სიტყვას აწყვეტინებს გრიალა, ცივისა და მეტად დამშვიდებულის ხმით, თითქო შუაღამისას დიდის ხნის გაუღებელმა ძველმა, დაჟანგულმა ალაყაფის კარებმა დაიგრიალოა:

— დიახ,—მაგრამ მე კი ჯერ მაძღარი არა ვარ.

დ რ ო.

— შენ არასოდეს არა ხარ მაძღარი. რამდენი შეგიჭამია ჩემს თვალწინ და მაინც გამხდარი და უძღები ხარ.

მეფე შიმშილი.

მაშ ეხლა მივცემ უფრო ნოყიერ საჭმელს. ეყო თოკზე მიბმულ ძაღლივით ძვლების ღრღნა—ეხლა თამამად იქეიფოს ჯანმრთელ, მსხვილ და გასუქებულებზე, რომელთა სისხლი ისე წითელია, სქელი და გემრიელი. **სიკვდილო**, ხელი მომეცი და მადლობასაც მეტყვი—შენს პატივსაცემლად დღესასწაული გაიმართება.

სიკვდილი ხელს არ აძლევს, იმავე ჭრიალა ხმით ლაპარაკობს:

დიახ,—მაგრამ მე არასოდეს მადლობას არ ვამბობ.

დ რ ო.

სტყუი, მეფე შიმშილო!

მეფე შიმშილი.

შეჰხედე ჩემს სახეს—განა საშინელი არ არის ესა. შეჰხედე ჩემს თვალებს—ბნელაში დაინახავ როგორ ბრიალებენ ეს თვალები; სისხლის დასანთხევ აჯანყებისათვის დადგა დრო, მოხუცო! დედამიწა მშიერია. იგი აღსავსეა კვნესა-ვაებით, იგი აჯანყებას იმუქრება. დაჭკარ შენს ზარს, მოხუცო, თავამდე გააპე იმის სპილენძის პირი! დაე, ნულარა სძინავთ, ნუ იქნებიან მძინარენი.

დ რ ო, ყოყმანით:

მართლაც, როდესაც ღამე მოატანს და დრო მყუდროებით იმოსება, იქიდან—ქვემოდან—მოისმის სუსტი კვნესა... ბავშვების ტირილი...

მეფე შიმშილი ხელს გაიწოდებს ქალაკისაკენ:

ეს იქიდან, შეჩვენებულ ქალაქიდან.

დ რ ო თავს იქნევს:

არა, კიდევ უფრო შორიდან. დედა-კაცთა ვაება, მოხუცთა ხრიალი, მშიერ ძაღლთა ყმუილი...

— ეს იქიდან—მინდვრებიდან, მომაკვდავ სოფლების გულის სიღრმიდან!

— არა, კიდევ უფრო შორიდან, კიდევ უფრო შორიდან... თითქოს მთელს დედამიწის კვნესა მესმის და ეს ძილს მიკრთობს. მე მოხუცი ვარ, დავიღალე, ძილი მჭირია და ესენი კი არ მასვენებენ. სიკვდილი მენატრება. სიკვდილო, ჩემო ძველო ამხანაგო, როდისღა წამიყვან?

სიკვდილი სდუმს და ძველი **დრო** ჩაჰქინდრავს თავს (никнетъ головою).

მეფე შიმშილი.

ჩამოჰკარ ზარსა! მეც ასეთივე უბედური ვარ, მეც ასევე მენატრება სიკვდილი. უბედურო ჩემო შვილებო—მინდოდა ძლიერთა სამეფო შემექმნა, მაგრამ მხოლოდ მკვლელთა, უგუნურთა და ცრუთა სამეფო კი შევქმენ. მე მეფე კი არა, საცოდავი მაჩანჩალა ვარ, ხოლო ჩემი გვირგვინი, ჩემი დიდებული სისხლის გვირგვინი—სათამაშოა იმათის ბავშვებისა. გასწყვიტე ისინი, დროე, ჩამოჰკარ შენს ზარსა! ჩამოჰკარ!

დ რ ო.

შენ ერთ დროსაც მეუბნებოდი ამას და მომატყუე.

მეფე შიმშილი.

მაშინ მე თვითონ ვეჭვობდი.

— ეხლა?

— შეჰხედე ჩემს შვილებს! ჰკითხე სიკვდილსა, ის არასოდეს არ ცრუობს. აქამდე მონა-მორჩილნი, ეხლა ისინი უზომო აღშფოთებით, წყევლა-კრულვითა და რისხვით ეგებებიან სიკვდილს!

სიკვდილი იმავე ცივისა და დამშვიდებულის ხმით ლაპარაკობს:

ჰო—ცოტას კი მეურჩებიან ხოლმე.

მეფე შიმშილი.

მომეცი შენი ხელი, სიკვდილო!

სიკვდილი ხელს არ აძლევს და სდუმს. სიჩუმეა. სამრეკლოზე ღამის წყვდიადში ნელისა და გლოვის ხმით ჰრეკავს საათი. **დრო** ყოყმანით ლაპარაკობს:

თანდათან ვრწმუნდები: ისე მწყურიან მოსვენება—სიკვდილი.

მეფე შიმშილი:

მაშინ დრო აღარ იქნება! ო, საყვარელო ზარო, შენ მოგვიტან მოსვენებასა და მშვიდობას! ნება მომეცი, ჩემი დაქანცული თავი შეგახო ალერსით.

ეალერსება ზარს: ნაზათ ეამბორება იმის მრუდე მკერდებს. მერე ჩუმათ ანიშნებს, ვითომ ჰრეკავს. სიკვდილი მისჩერებია და ჩუმათ, ცივის ნაწყვეტ-ნაწყვეტის სიცილით ხარხარებს.

დ რ ო.

იცინი, სიკვდილო.

სიკვდილი.

ჰო,—ცოტას.

— გახარებული ხარ? თუ დასცინი ჩემს ნდობას? მაგრამ იმის სიტყვებში სიმართლე არის, ზარმაც იცის ესა. ღამე, როცა ყველაფერს სძინავს, და მხოლოდ დაღლილ-დაქანცული დედამიწა ჰკვნესის, ამის მკერდებიდან მოისმის წყნარი ჟრიალი, შეუმჩნეველი, სუსტი წკრიალი. თითქო ათასი უჩინარი ხელი ეხება, ეალერსება და ეკითხება: კიდევ შერჩა თუ არა სპილენძს ხმა. საშინელებაა, ღამით სამრეკლოზე ყოფნა იმ დროს, როდესაც ქვევით ქალაქი დაუშრეტელ სინათლით ლაპლაპებს, ხოლო დედამიწა კი მძიმე ტვირთ ქვეშ ჰკვნესის. გესმის?

ყველანი ყურს დაუგდებენ. **მეფე შიმშილი** განშორდება ზარს და ისმენს ხელებ გაწვდილი. წყნარის, წკრიალა ხმით დაიზრიალებს ზარი და ი-ეღვეს.

სიკვდილი.

დიახ—ცოტათ ჰრეკავს.

მეფე შიმშილი.

გესმის! დედამიწა აჯანყებას თხოულობს. დაეშურე, მოხუცო!

დ რ ო.

ასეა ყოველ ღამე. რა ძნელია ამისი მოსმენა.

— ჩქარა გაიგონებ სხვა ხმასა. ამ ხმაში გამოითქმება რისხვა.

— და ტკივილი.

— არა, რისხვა, რისხვა! ტკივილი ყოველთვის ბევრი აქვს ქვეყანას. რისხვა, რისხვა, მოხუცო!

სადღაც ქვემოდ, განათებულ სიღრმეში, სამჯერ მოისმის გაჭიანურებული, ხრინწიანი ხმა ნაღარისა. დაბალის ხმით იწყება და მაღალ ჰანგზე გადასვლის დროს ნელა სწყდება. სევდიანი და საზარელი მოწოდება გამოისმის ამ ხმაში.

სიკვდილი.

მე მეძახიან.

გაჭქრება. ერთხანს სიჩუმეა. ქალაქის უჩინარი სანთლები ცოტაოდნათ იბრიცებიან, ბნელდებიან. ერთის მხრიდან, მაღლით, უხმო ცამაშსა და რხევას იწყებს მოწითალო ცეცხლის ალი. ეტყობა, სადღაც, ქალაქში ცეცხლი გააჩინეს.

დ რ ო.

სიკვდილი წავიდა.

— დაუძახეს.

— არა, მითხარი, რისთვის მომიკლა მაგან ჩემი მტრედი? ამ სახლის ჭერზე ცხოვრობდა მტრედი, დატყაპუნებდა თუნუქის სახურავზე და მახარებდა,—მაგან კი მოჭკლა,

მეფე შიმშილი ხმამაღლა იცინის.

დ რ ო.

რა გაცინებს?

მეფე შიმშილი.

ისე, მე ძალიან მიყვარს ისა.

— შენ იცინი და მე ისევ, არა მწამს რა შენი. ეხლა ხომ მარტო ხარ,— მაშ მართალი სთქვი, მეფე შიმშილო. შენ დიდებული მოღალატე ხარ, ცრუ ყველას წინაშე, აქეზებ და იწვევ ხალხს უგნურ მოქმედებისაკენ, ხოლო მერე კი დასცინი იმათ. მაგრამ ეხლა?

მეფე შიმშილი გახარებული, გაბედული ამბობს:

—ვფიცავ.

— შენ გაამარჯვებინებ მ'ბიერთ?

— ვფიცავ.

— და მეც მომანიჭებ მოსვენებას?

— ვფიცავ.

დრო ამოიოხრებს.

მე მჯერა შენი და მეც ზარს ჩამოვკრავ, როცა შენ ამას მისურვებ.

— ეს ჩქარა იქნება, დავიღალე.

— მეც დავიღალე.

ულონოდ გადასდებს მოხუც თავს ქვის მოაჯირზე. გაძლიერებული ცეცხლი წითლათ გააშუქებს იმის ჭაღარა თმასა და მოაჯირზე გადადებულს, გამხმარ გრძელ ხელს; **მეფე შიმშილიც** ასევე დაქანცული ჩაჯდება იმის ფერხთა ქვეშე, თავს მუხლს დაიდებს და ლაპარაკობს:

— კიდევ ეწვით რაღაცა. მაგრამ დავიღალე, დღეს აღარ წავალ იქ, შენთან დავრჩები, დროვ, მოასვენე დიდებული და უბედური მეფე.

გაძლიერებულ ცეცხლის სინათლეზე **დრო** მღერის ასეთის მიხრწნილის ხმით.

სიმღერა **დროსი.**

... სამრეკლოზე ცხოვრობდა მტრედი—მტრედი. თუნუქის სახურავზე ატყაპუნებდა თავის თათებს მტრედი—მტრედი. მოვიდა სიკვდილი და წარიტაცა მტრედი. ყველაფერი ინგრევა, ყველაფერი იმხობა და ყოველივე ხელახლად წარმოიშობების. ო, დაუსაბამო მშობელო ჩემო! ო, შვილებო ჩემო—წუთნო, წამნო და წელნო, ო, დაუსრულებლობავ, ასულო ჩემო!..

უკვე ნახევარი ცა ცეცხლის ალშია გახვეული. ცეცხლი ერთნაირად კი აღარ პრიალებს, უკვე მძვინვარებს და აფთრობს. მაგრამ სამრეკლოზე მშვიდობა და მყუდროებაა; ნაღვლიანად, მორჩილებით ჰრეკავს საათი. შეუმჩნევლად, მსრბოლელ აღმნიშვნელი.

ფარდა ეშვება.

განდეგილი.

(შემდეგი იქნება).

სათარხანი *)

ამ დროს სათარხანი დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა და თუმცა დიდი მწუხარება ჰქონდა გამოვლილი, მაგრამ თმაში არც ერთი თეთრი ბეწვი არ ჰქონდა გამორეული, შეხედულებით კი გატეხილი სჩანდა.

მის გულში სდუღდა ჯავრის ამოყრის სურვილი და ამისათვისაც ადილხანის სამსახური მას არ აკმაყოფილებდა, მეტადრე, როდესაც ჰხედავდა თუ რაგვარ ცუდ მდგომარეობაში სცხოვრობდა გლეხ-კაცობა.

მეჰმედ-ალი-მირზა ვალიათის (ახლანდელ შაჰი) დროს, ადერბეიჯანის მემამულეებმა იმდენათ შეაწუხეს ხალხი, რომ მოთმენა აღარ შეიძლებოდა და 1905 წელს—რუსეთში კონსტიტუციის გამოცხადების დროს, სპარსეთის ემიგრანტ ახალგაზდობამ ხელი გაუწოდა გაყვლეფილ გაძარცულ ხალხს—„რაიათ.ს“ და იწყო მათ შორის პროტესტის, ბრძოლის იდეის გავრცელება და შესაფერ ორგანიზაციების შედგენა.

ერთი წლის შემდეგ, არა მარტო ადერბეიჯანში, არამედ მთელ სპარსეთში, ქვეყნის ყველა მხარეს ხალხმა დაარსა ენჯუმენები და ამოირჩია თავისი წარმომადგენლები, რომელნიც ცოტახნის შემდეგ იმდენათ გაძლიერდნენ, რომ გაალაღეს გლეხების საშუალებით მუშაბები (ხარჯის ამკრებნი) სოფლებიდან და საკუთარ საქმეების მართველობას ხელი მიჰყვეს.

როდესაც სოფლებში თითონ გლეხები ასწორებდნენ თავიანთ ძველ ანგარიშებს თავიანთ პარაზიტებთან, ამ დროს ქალაქებში დგება ნაციონალური მილიციები,

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 22.

ასე წოდებული—ჯანფიდაების ჯგუფები, რომლებმაც დევნა დაუწყეს „ჰაქიმებს“ ანუ ხარჯის არენდატორებს და მთავრობის ყველა პირთ. ამ დროს, თავრიზის ჯანფიდაების შორის სახელი გაითქვა სათარხანმა, რომელმაც სხვებთან ერთად კორანზე დაიფიცა—დაეცვა ხალხის ინტერესები და სიცოცხლის უკანასნელ წუთამდინ ებრძოლა დესპოტების წინააღმდეგ ვიდრე ხალხი არ მოიპოებდა სანატრელ თავისუფლებას, და არა მარტო ადერბეიჯანში, არამედ მთელ სპარსეთში არავინ ისე მტკიცეთ არ დაუდგა ფიცს და პატიოსან სიტყვას, როგორც სათარ-ხანი, რომელიც დღეს, გამხდარა ირანის ხალხის საყვარელი გმირი, ქალების და „ხანუმების“ სალოცავი, პოეტების თხზულებათა გმირი და სპარსეთის მებრძოლთა სწორ უპოვარი სარდალი.

ბრძოლა გამწვავდა მთელს ირანში, ტანჯულ წამებულ და ყოველ მხრივ შეზღუდულმა ხალხმა თავი მაღლა აიღო და მტკიცე მოთხოვნები დაუყენა შაჰს. ველარ შესძლო მთავრობამ და 1906 წელს აგვისტოში მუზაფერ-ედდინ შაჰმა პარლამენტის, მეჯლისის შეკრების ბრძანება გამოსცა და უბძანა, რომ პროვინციებში მთავრობის წარმომადგენლებმა ენჯუმენების ხელმძღვანელობით იმოქმედონ, რითაც ენჯუმენებმა ლეგალური ნიადაგი მოიპოვეს. ენჯუმენებმა ჯანფიდაების ჯგუფები ლეგალურ ორგანიზაციებათ სცნეს და მათ საშუალებით წელი გაიმაგრეს.

მუზაფერ-ედდინ შაჰის სიკვდილის, ესე იგი ერთის წლის შემდეგ, როდესაც ირანის მბრძანებელის ტახტზე ავიდა მაჰმედ-ალი-მირზა, ახლანდელი შაჰი, ყოველგვარი ძალა და საშუალება იხმარა, რომ ენჯუმენების და მეჯლისის არსებობა გაეუქმებინა, მაგრამ ჯანფიდაების ჯგუფებმა ხელი შეუშალეს და მას პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადეს.

შარშან აპრილში, როდესაც შაჰის კაცები ცდილობდენ თავრიზის „არქიდან“ (სიმაგრე) იარაღის გამოტანას, პირველათ სათარხანი დაეცა მათ, წაართვა იარაღი და ზარბაზნები და ხალხს დაურიგა.

თავრიზელები უკეთესათ სცნობდენ მაჰმედ-ალი-მირზა შაჰს და ამისათვისაც დიდხანს სამზადისში იყვნენ, რომ მის მახინაციის მსხვერპლათ არ გამხდარიყვნენ.

ხანდახან, როდესაც თეირანის მეჯლისში მყოფი თავრიზის წარმომადგენლები მცირე რამეს დაუთმობდნენ შაჰს, თავრიზის ენჯუმენის წევრები აურაცხელ პროტესტებს უგზავნიდენ თაყვანთ დეპუტატებს და თხოულობდენ, რომ მათ ზომები მიეღოთ და შაჰისთვის ხელი მოეწერინებინათ „მეშრუთზე“, ძირითად კანონზე, რომელიც შედგენილი იყო მეჯლისის მიერ.

ეჭვს გარეშეა—სათარ-ხანს და მის ამხანაგებს ძრიელი ზომები რომ არ მიეღოთ, არ შეიარაღებულიყვნენ და ამით შიში არ მიეცათ, მაჰმედ-ალი-მირზა შაჰი „მეშრუთს“ ხელს არ მოაწერდა და კორანზე არ დაიფიცებდა, მაგრამ ვერც ფიცმა და ვერც ხელის მოწერამ შაჰი კონსტიტუციის ნიადაგზე ვერ დააყენა, რადგანაც მას გარედან ეძლეოდა ძალა, რის საშუალებითაც მან რამდენიმეჯერ კონსტიტუციის წინააღმდეგ აშკარათ მოქმედება დაიწყო და იქამდის წელი გაიმაგრა, რომ მეჯლისი დაანგრევინა, და ხალხის წარმომადგენლები მეჯლისის ნანგრევების ქვეშ მოაყოლებინა, ხოლო ზოგიერთი თავდადებული მებრძოლი თავისუფლებისათვის დიდის წამებით და წვალებით დაახოცვინა..

Artemius.

(შემდეგი იქნება)

წერილი მოსკოვიდან

ა) ქართული კულტურის მოყვარულთა წრე,—ბ) სტუდ. კვიტაშვილის რეფერატი;—გ) ჩვეულებრივ ქართული საღამოს გადადება და ჩვენი სტუდენტობის უმრავლესობის უმწეო მდგომარეობა.

წარსულ სამოსწავლო წელში ქართველ სტუდენტობის ერთმა ჯგუფმა დააარსა „ქართულ კულტურის მოყვარულთა წრე“. როგორც თვით წრის სახელიდან სჩანს, მას მიზნათ აქვს დასახული ქართული კულტურის შესწავლა. ამ მიზნის განსახორციელებლათ ყოველივე წევრი, თუ კი მას ამისთვის შესწევს გონებრივი ალა, მოვალეა მოამზადოს რეფერატი ან ლექცია და წაიკითხოს წრეში; გარდა ამისა, წრეს განზრახვა აქვს წააკითხოს პრ.-დოც. ხახანაშვილს რამდენიმე სისტემატიური ლექცია საქართველოს ცხოვრების კულტურიდან, რაზედაც უკანასკნელს (ხახანაშვილს), როგორც წრის დამაარსებელმა და უმთავრესმა ხელმძღვანელმა გ. ჟორდანიამ გადმოცა, თანხმობა განუცხადებია,

ასეთი წრის დაარსება ფრიად სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს მოსკოველ ქართველ სტუდენტობის ცხოვრებაში, მაგრამ მისი წევრები უნდა ეცადონ, რომ ეს წრე მართლა მეცნიერული წრე იქმნეს და არა მხოლოდ დროს დასაკარგავი სალაყბო; რეფერატებს და საერთოთ მეცადინეობას მეტი ორიგინალობა და სერიოზობა უნდა ემჩნეოდეს. როდესაც ამას ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მაქვს ბ-ნი კვიტაშვილის რეფერატი, რომელიც მან წაიკითხა 16 ოქტომბერს. ამ დღისათვის უნდა წაკითხულიყო სამი რეფერატი: 1) პ.-დ ხახანაშვილის—აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ; 2) გ. ჟორდანიას.—ქართველების ძველ ადათებზე და ჩვეულებებზე და 3) კვიტაშვილის—რუსულათ: „Критическія замѣтки по поводу драмы-легенды кн. Сумбатова „Измѣна“, მაგრამ ბ-ნმა ხახანაშვილმა მისგან დამოუკიდებელ მეზეზების გამო იმ დღეს ვერ წაიკითხა; ჟორდანიამაც ვერ მოასწრო წაკითხვა, რადგან წრეს სხვა მიმდინარე საქმეები და საკითხები ქონდა განსახილველი და ამას ბევრი დრო მოუნდა. წაიკითხა მხოლოდ ბ-ნმა კვიტაშვილმა. რეფერატმა თითქმის ვერც ერთი მსმენელი ვერ დააკმაყოფილა, რადგან შინაარსით მეტად ღარიბი იყო. რეფერენტს აზრათ ქონდა დაემტკიცებია, რომ პიესის ზოგიერთი

ადგილები ისტორიულათ მართალი არ არის. მან მოიყანა ავტორის განცხადება, რომ პიესა რამდენიმეთ 8-XIII-ე საუკუნის ეპოქის დამახასიათებელია. რეფერენტი კი ამტკიცებდა, რომ მეცამეტე საუკუნის დამდეგს ქართველებს არც ომი ქონიათ სპარსელებთან, რგორც ეს პიესაშია, და არც საქართველო ყოფილა ბატარ-ბატარა სახელმწიფოებათ დაყოფილიო. პიესის ავტორის ისტორიის წინააღმდეგ შეცოდების დასამტკიცებლათ რეფერენტმა, ზევით დასახელებულ საბუთის ოდა, კიდევ შემდეგი მოიყვანა: თოფის წამალი მეცამეტე საუკუნის ბოლოსათვის ახალი ხილი იყო და იმ ისათვის თოფის წამლის სახმარი იარაღები (თოფრბაზნები) იმ ზომამდე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ვითარებული, რამდენათაც ეს პიესაშია გამოყვანილი. ამას გარდა რეფერენტი შეეცადა დაემტკიცებინა ესაში გამოყვანილი ზოგიერთ ტიპების ფსიხოლოგიათ შეუძლებლობა, მაგრამ აქ ორიგინალური თითქმის აფერი არ იყო. ამ საკითხზე ქართულ გაზეთებში ვის დროზე ბევრათ უფრო გარკვეული და დასაბუთელი წერილები დაიბეჭდა. რეფერატს კამათი არ გაუწევია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ანაგების ორიოდე შენიშვნას.

ამისთანა რეფერატებს არაფერი სარგებლობის მონა არ შეუძლია; ქართული კულტურა ამისთანა რეფერატებით არ შეისწავლება და დრო კი უსარგებლოთ აკარგება.

როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, მოსკოვის ქართველ სტუდენტობის თანამემამულეთა წრე ყოველ წლობ მართავს მოსკოვში ქართულ საღამოს და იქიდან ოსული ფულით მატერიალურ დახმარებას უწევს ოველ ღარიბ სტუდენტებს უნივერსიტეტის სასარლოთ ფულის შეტანით, პროფესორების სასარგებლათ ჰონორარის გადახდით, ისე ერთდროული დახმარით და სხ. ჩვენი სტუდენტობის უმრავლესობა ამ ამოს იმედით ცხოვრობს. საღამო ჩვეულებრივათ ითებოდა ოქტომბერში ან ნოემბერში. წელს კი ამ ებში საღამოს გამართვა არ მოხერხდა, რადგან ამოსათვის საჭირო მსახიობები ვერ ვიშოვეთ ლა გამოჩენილი მსახიობი, რომელსაც კი შეუ ია შემოსავალი მოგვცეს, ისეთნაირი პირობებით ან შეკრული თავის ანტრეპრენიორებთან, რომ ნება აქვთ სადმე სხვაგან მიიღონ მონაწილეობა საღამოს წარმოდგენის გამართვაში. ამის გამო ქართული ამოს გამართვა გადაიდვა იანვრამდე (იმ დროისთვის ჩენილმა მსახიობმა ქალმა ლიუცემ აღგვითქვა მოლეობის მიღება). ამ გარემოებამ უმწეო მდგომაბაში ჩააყენა საღამოს შემყურე და მოიმედე ჩვენი დენტობა; ბევრს მათგანს შეიძლება უნივერსიტეან გამორიცხვა მოელოდეს, რადგან ფულის შეტაიმედი უსახსრობის გამო არავითარი არა აქვთ.

როდესაც ქართველი სტუდენტობა ასეთ უმწეო ამარეობაშია ჩაყენებული, ბევრს ყოფილ მოსკოველ სტუდენტებს, რომლებმაც უნივერსიტეტის გათავების შემდეგ თბილ-თბილი ადგილები იშოვეს და კარგათ მოეწყვენ, მართებთ აქაურ თანამემამულეთა წრის ვალები (ერთი ძველი სტუდენტის სიტყვით ვალების ციფრი 15,000 მან. ადის), რომლის გადასახადათ ყურსაც არ იპარტყუნებენ ეს ვაჟბატონები. თანამემამულეთა წრეს ერთათ ერთი დარჩენია: იხმაროს ყოველივე უკიდურესი ზომები ვალათ გაცემულ ფულების შესაკრებათ და, ჩემის აზრით, კიდეც იძულებული იქნება ამ გზას დაადგეს.

ივ.—იძე.

თეატრი და მუსიკა

—:—

ილიას საღამო სახალხო თეატრში.

27 ოქტომბერს სახალხო თეატრში ილიას პატივსაცემლათ გამართული იქნა საღამო. საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა, პირველათ წარმოადგინეს „დედა და შვილი“. სამწუხაროთ, წარმოდგენამ სუსტათ ჩაიარა. ქ-ნ ეფემიასაგან მეტს მოველოდით. მონოლოგის კითხვის დროს მას აკლდა სიდინჯე, სიმხნევე და მგრძნობიერობა. ბოლოს კი სიკვდილი არაბუნებრივი იყო. ლაპარაკობს დინჯათ, მშვენივრათ, უეცრივ დაეცემა და ჰლევს სულს. ჯერ ერთი, დაცემა უფრო ბუნებრივი იყო ლოგინზე, სადაც იჯდა და არა ძირს; მერე და მართალია დრამაში სწერია „კვდებაო“, მაგრამ ეს „კვდება“ მაყურებელთათვის უეცარი აქტი კი არ არის, არამედ მხოლოთ პროცესია და ამ პროცესის დასრულება იგულისხმება ფარდის ჩამოშვების შემდეგში.

ბ. იმედაშვილმა ნიჭის მაგიერ მხოლოთ დაუდევრობა გამოიჩინა. ამასთანავე, ნეტავი რათ უნდოდა იმდენი ფერ-უმარილი, რაც იმის სახეს ბუნებრიობას უკარგავდა.

მშვენიერი იყო მეორე ნაწილი. მრავალრიცხოვანი ხოროს გუგუნი, საუცხოვო მუსიკით შეხმატკბილებულ ი ისეთ სიამოვნების ქსელში ჰხვევდა მაყურებელთ, თითქმის ჰლამობდა მათი გრძნობა გაეტაცა სადღაც ნეტარების სამფლობელოსკენო.

ბ. ევლახიშვილმა იმღერა „მკრთალი ნათელი“. მას საიმისოთ არ მოუჯადოებია მაყურებელი, რომ განსაკუთრებული ქება შევასხათ.

სამაგიეროთ, მადლიანი ქება უნდა მივუძღვნათ ქ-ნ ოსიფოვისას. ის ისე კეკლუცათ და ლამაზათ არღვევდა ჰაერს თავისი მშვენიერი ხმით, რომ ყველა აღტაცებაში მოჰყავდა.

მესამე განყოფილება იყო ცოცხალი სურათები განდეგილიდან და აპოთეოზი. ადგილი ნებას არ გვაძლევს სავსებით ავსწეროთ ამ განყოფილების მშვენიერება. აქ, მხატვრებმა შმერლინგმა, გრინევსკიმ, როგოისკიმ და ნიკოლაძემ მართლა ცოცხლათ გამოიჩინეს თავიანთი მაღალი გემოვნება და მაყურებელნი დიდ აღფრთოვანე-

ბაში მოიყვანეს. საუცხოოთ ასრულებდენ თავიანთ სურათებს ქ-ნი გოგოლაშვილი და კ. ყიფიანი. განსაკუთრებით მშვენიერი იყო საინტერესო პოეტურ მოწყობილობაში ნაჩვენები ილიას სურათი (კ. მესხი).

ყველა ამ მშვენიერებაზე საზოგადოება აღტაცებული ტაშის ცემით უპასუხებდა.

ლევ. მეტრეველი.

—

ქართული თეატრი ქუთაისში.

როგორც წინათაც გვქონდა მოხსენებული, დრამატიული დასის ამხანაგობამ ვერ გაუძლო ყოველ წარმოდგენიდან მიღებულ დეფიციტებს და იმედ დაკარგულთ სეზონი დახურეს. ამ გარემოებას ხელი შეუწყო კიდევ სხვა და სხვა გარემოებამ, რომელთა გასაცნობათ მკითხველ საზოგადოებას მივუთითებ „ამირანი“-ს მე-181 №.ში მოთავსებულს, აქაური მსახიობ-ანტრეპრენიორის ვ. ბალანჩივაძის წერილზე, სადაც აღნუსხულია სეზონის დაკეტის მიზეზები, კიდევ ბევრი რამ საგულისხმიერო გარემოებები, რომელნიც ნათელი ილუსტრაციაა ჩვენში არსებულ სიმპატიურ დაწესებულებებში გამეფებულ „დრიაზგები“-სა, პირადი ინტერესებისა და აქედან საზოგადო საქმის შეფერხების.

სეზონის დახურვის შემდეგ ქუთათელნი ღვთის ანაბარათ მაინც არ დავრჩით: საქმის განგრძობა იკისრა თვით მსახიობთა მიერ შედგენილმა ამხანაგობამ, თუმცა სეზონის დაკეტას თან მოყვა ისეთი საუკეთესო ძალთა ჩამოშორებაც, როგორიც არიენ, მაგ.: ვ. ბალანჩივაძე, ვ. შალიკაშვილი, ჯავახიშვილის ასული და სხ. ასეა თუ ისე, ამის შემდეგ თვით მსახიობთ იდვეს თავზე ინიციატორობა წარმოდგენების მართვისა. საკვირველია! თითქოს მათ ბედმა გაუღიმათ: ავერ მესამე წარმოდგენას გაუძღვენ ისინი წინ და სამივესაგან მოულოდნელი და არა ჩვეულებრივი შემოსავალი ქონდათ. ამის მიზეზებს, რომ საზოგადოება და დასი შეურაცხყოფილნი არ დარჩენ, არ ვაღიარებ და ბავრუმდებ.

აღსანიშნავია მხოლოთ ის გარემოება, რომ რადგან თვით მსახიობთ იკისრეს საქმის კოლექტიურათ წინ გაძღოლა, ენერგიულ ცდის ელფერი დასდვეს სცენას, თითქოს ვიღაც ს ეჯიბრებიანო, მაგრამ საკმაო საჭირო ძალთა უქონლობაც აშკარ თ სჩანს წარმოდგენებიდან.

პირველსაცა და მეორეს ნათლათ მოწმობს 19 ოქტომბერს გამართული წარმოდგენა. ითამაშეს დ. ერისთავის ჩვენში კარგათ ცნობილი 5 მოქ. ისტორიული დრამა **„სამშობლო“**. ისტორიული პიესები, საზოგადოთ, ბლომათ იზიდავს აქაურ საზოგადოებას. მიუხედავათ იმისა, რომ „სამშობლო“ სხვა და სხვა დროს მრავალჯერ უთამაშნიათ, თეატრი დამხწრე ხალხს ვერ იტევდა.

ამ საღამოს ჩვენ დამსწრეთა შორის ყველა წოდების, პროფესიისა და კლასის წარმომადგენელთ ვხედავდით, წარმოიდგინეთ, რუსებიდანაც დაესწრენ მაყურებელნი. მაშასადამე, ეს უბრალო მოვლენა იმის მომასწავებელია, რომ მასის გულში ღვივის ერთგვარი, უტყუარათ არსებული **„რაღაცა გრძნობა“**, რომლის უარისყოფა შეუძლებელია, რადგან მას მაგრათ აქვს ხოლმე გადგმული ფესვები ადამიანის ძვალ-რბილში.

დასს, გარეგნულათ, ბევრი რამ „ახალი“ შეეტანა ტეხნიკის გაუმჯობესების მხრით დრამაში: ვხედავდით გემოვნებით მოწყობილ დეკორაციებს, ახალ კოსტიუმებს, „მიზანსცენებს“, მართლ გრიმებსა და სხ. წვრილმანთ. მხოლოთ რაც შეეხება პიესის საკალდებულო ასრულებას, უკმაყოფილო დავრჩით; ამის მიზეზი კი ის იყო, რომ უმთავრეს მომქმედთა ამსრულებელნი სუსტობდენ; ეი მაგალითად: ბ. პ. კორიშელს, სვიმონ ლეონიძის პასუხისაგები როლის ამსრულებელს, ერთობ დიდი ტვირთისათვის მოეკიდა ხელი და ვერ დასძლია. მხოლოვან სამშობლოსათვის თავდადებულის, საქართველოს კეთილდღეობისათვის მედგარი მებრძოლის, სვიმონის მაგიერათ სცენაზე ვხედავთ ერთ ტონზე მოლაპარაკესა და აღფრთოვანებას მოკლებულ ადამიანს. ბ. კორიშელის მხრით დიდი გაბედულობაა ამ როლში გამოსვლა. ესევე ითქმის ქ-ნ შუქიშვილზედაც. მან მართლათ ვერ გადმოგვცა კეთილისა და დასნეულებულ ფაიხოშის როლი: სცენაზე თავს ძალას ატანდა და მისი მიხვრა-მოხვრა, თითოეული დახველება ნაძალადევი იყო. მას სცენაზე პირველათ ვხედავთ. სამაგიეროთ ჩეეულებრივის მოხდენითა და ლაზათით გაატარა ქ-ნ დავითაშვილის ასულმა ცბიერის, „მოღალატესი“ და სიყვარულის მაღმერთებელის ქეთევანის როლი. დარწმუნებული ვარ, ის კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ დანარჩენთ თავის ულაზათო თამაშით მისთვის ხელი არ შეეშალათ.

საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა თავის შეგნებულისა და მკვირცხლ თამაშით ბ-ნ ზარდალიშვილმა (ლევან ხიმშიაშვილი). საზოგადოთ, მას ძალიან ეხერხება ისტორიულ გმირთა როლის შესრულება. განსაკუთრებით კარგი იყო იგი „შურის ძიების“ „აღთქმის“ ასრულების უკანასკნელ მოქმედებაში. მაყურებელი საზოგადოება მან ისე გაიტაცა თავის მგრძნობიარე თამაშით, რომ ქანდარიდან თავ-დავიწყებას მიცემულ მაყურებელმა გადასძახა: „მოკალი, მაგ სამშობლოს მოღალატეო“! ის ბევრხელ დაჯილდოვდა „ვაშ-ს“ ძახილითა და ტაშის კვრით. დაკვირვებით, სისწორით გადმოგვცა ბ. მ. დადიანმა მკაცრი, უგულოსა და დესპოტის შაჰის სულისკვეთება. ალაგ-ალაგ კი მის მხეცურისა და სიმკაცრის დამახასიათებლათ ვერ გამოდიოდა. არა უშავდა დიმიტრი დადიანის როლში ბ-ნ მურუსიძეს.

სათნოიანისა და მამაც დიაკვანის ბოგიას პიროვნება ვერ გადმოგვცა ბ-ნ ბარველმა თავის თამაშით. ბოგიას როლის ამსრულებელს სიტყვების გამოთქმაზე უფრო მდიდარი მიმიკა ესაჭიროება, რაც აკლდა ბ-ნ ბარველს; მას აკლდა აგრეთვე ის თვისება **„უბრალოება“** (простота), რომელიც ყველგან, ყოველთვისა და ველასთვის აუცილებლათ საჭიროა. ამას გარდა მისა და კიდევ ყდანარჩენ მსახიობთა საყურადღებოთ უნდა ვსთქვა, რომ **ქართულ ენას თვალსაჩინოთ ხმის ამაღლება** (удареніе) **არა აქვს და არც შეშვენის;** ეს სენია ერთნაირი და საჭიროა ამ ყალბი გამოთქმის თავიდან აშორება. ყურადღებას იპყრობს ბ-ნი ყალაბეგიშვილი თავის გაბედული თამაშით.

უსამართლობა იქნება არ ავღნიშნოთ ამ საღამოს ქ-ნ ჩიქოვანის მიერ გააფთრებულის, საწამებლათ მიმავლის ქართველ დედის მგრძნობიარეთ დახასიათება.

დანარჩენნი: ბ-ნნი ბუგუშვილი, ჩარკვიანი და სხვ. ანსამბლს ხელს უწყობდენ სტატისტებმა, სცენაზე თავის არეული მოქმედებით უწინდელი ქართველთა ჯარის დასციპლინა „უარყვეს“: ერთი იბრძოდა, დანარჩენი გაშეშებული, ხმალ ამოწვდილნი იდგენ, „წყნარათ“. თეატრში წესიერება ხშირათ ირღვევოდა უალაგო უმიზეზო გამოძახილით.

სერ—ეორუ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ბარამიშვილი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.